საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 30 ივნისი. 2017 წ. №130 (8267), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტის კიდევ ერთი აბდაუბდა!

საქართველოს პრეზიდენტი „ქართულ ოცნებას“ დიალოგისა და კონსენსუსის მიღწევისკენ მოუწოდებს. ვენეციის კომისიის თავმჯდომარესთან ჯანი ბუკიკიოსთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, გიორგი მარგველაშვილმა მმართველ გუნდს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაციის გააზრებისა და ჩიხური მდგომარეობის თავიდან აცილების რჩევით მიმართა.

„დღეს ყველანი ვდგავართ ჩიხური სიტუაციის წინაშე. იმისთვის, რომ არ შეჩერდეს ქართული დემოკრატიის განვითარება, იმისთვის რომ დემოკრატია არ შევიყვანოთ ჩიხში, ჩვენ უნდა შევხედოთ ვითარებას. „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გაიაზროს ის, რომ ეს პროცესი სერიოზულად აზარალებს დემოკრატიულ განვითარებას ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ იმიჯს და შეაჩეროს ეს პროცესი და დავიწყოთ კონსტიტუციური პროცესი ისე, როგორც ის უნდა მიმდინარეობდეს, დიალოგის, ჩართულობის, კონსენსუსის ღირებულებებიდან გამომდინარე,“ — აცხადებს გიორგი მარგველაშვილი.

სალომე ზურაბიშვილი შეურაცხყოფილია!

მე პირადად შეურაცხყოფილი ვარ, — აცხადებს დამოუკიდებელი დეპუტატი სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებზე.

„კონსტიტუციის მიმართ რომ უკვე რადიკალურ პოზიციაზე გადავიდა და კონსენსუსზე კი არა, საკუთარი პოზიციის გატანაზე იბრძვის, ეს ერთია, მაგრამ აქ კიდევ უფრო გამაოცებელი ნაბიჯი გადადგა პრეზიდენტმა: პირდაპირ უცხოელებთან, ჩვენ ევროპელ პარტნიორებთან, უმაღლეს მოსამართლეებთან პრეზიდენტმა ჩვენი ევროპული ღირებულებები, საქართველოს სანდოობა და მისი დემოკრატიულობა კითხვის ქვეშ დააყენა .... მე პირადად შეურაცხყოფილი ვარ“! — აცხადებს სალომე ზურაბიშვილი.

სააკაშვილმა კონსტიტუცია საკუთარ ტანზე მოირგო, მაგრამ არ მახსოვს ჯანი ბუკიკიოს იმედგაცრუება ასეთი მკაფიო ყოფილიყო!

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი ასე აფასებს ჯანი ბუკიკიოს გუშინდელ აზრს: **„რასაკვირველია, იმედგაცრუებაც მოსალოდნელი იყო, როცა ჩვენ ღრმა ანალიზის საფუძველზე გადავწყვიტეთ, რომ ეს რეკომენდაცია არ გაგვეთვალისწინებინა, მაგრამ მან ეს პიროვნულად არ უნდა მიიღოს. მის მიმართ პატივისცემას ვადასტურებ, რომელიც გვერდში გვიდგას. ხშირ შემთხვევაში, საინტერესო და მისაღები შენიშვნები აქვს, მაგრამ როცა 2010 წელს, სააკაშვილმა მათი არც ერთი შენიშვნა და წინადადება არ გაითვალისწინა და კონსტიტუცია ტანზე მოირგო, არ მახსოვს, რომ მისი იმედგაცრუება ასეთი მკაფიო ყოფილიყო და მას მკაცრი გამოხატულება ჰქონოდა. მოხარული ვიქნები, რომ ვცდებოდე, რადგან შენიშვნები მაშინაც ჰქონდა და ახლაც აქვს, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ხელისუფლება ერთადერთია, რომელმაც გაბედა და ეს ნაბიჯი გადადგა. არავის არ უფიქრია იმაზე, რომ ქვეყანაში პროპორციული არჩევნები ჩაატაროს“.**

რამაზ საყვარელიძე:



4

ნაციონალების ზეობის პირობებში ბევრს აღარ დაედგომება ამ ქვეყანაში...

აი, ეს აჩვენა ივანიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გამოხატულმა ქილიკმა

უცნაური სამოთხე საბჭოთა ნანგრევებს შორის

8

საქართველო და გარესამყარო

5

ნიქიერი კაცი ყველგან ნიქიერია!..

აგვისტოდან ხმაური იკრძალება, ბიზნესს ხარჯის გაწევა მოუწევს

6



ტრადიციული ბრძოლა მგზავრებს, მძღოლებსა და კომპანიას შორის

8

რატომ უთხრა თბილისმა პენტაგონს უარი ძველი რუსული იარაღის მიყიდვაზე?

ბათუმი ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების მე-17 კონგრესს მასპინძლობს

გუშინ ბათუმში ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების მე-17 კონგრესი გაიხსნა. კონგრესს აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე დაესწრო. ღონისძიება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ გახსნა. კონგრესის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე და ევროკავშირის ელჩი საქართველოში.

ზურაბ პატარაძემ, როგორც მასპინძელი რეგიონის ხელმძღვანელმა, ევროპელ სტუმრებს ქალაქ ბათუმის ისტორიული წარსულისა და მნიშვნელობის შესახებ ესაუბრა. მისი თქმით, ბათუმი საქართველოს არა მხოლოდ საკონსტიტუციო დედაქალაქია, არამედ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ტურისტული, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი. როგორც ზურაბ პატარაძემ აღნიშნა, ევროპული წარსულის მქონე ბათუმი თანამედროვე საქართველოს საუკეთესო სახეა.

ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების მე-17 კონგრესის ფარგლებში ბათუმს 40-ზე მეტი ევროპული ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს და რელევანტური ინსტიტუტის თავმჯდომარე და სხვა მაღალი რანგის დელეგატი სტუმრობს. კონგრესში მონაწილეობას ღებულობს საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების და სასამართლოს წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ასევე, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტი.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ 2014 წელს, 3 წლის ვადით, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოდან გადმოიბარა ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეობა და ამჟამად, ის ერთადერთი ევროკავშირის არაწევრი ქვეყანაა, რომელიც კონგრესის თავმჯდომარედ იქნა არჩეული.

ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების მე-17 კონგრესი, რომელიც კონსტიტუციური პრინციპების დაცვასა და გამოყენებაში საკონსტიტუციო სასამართლოების როლს ეხება, 1 ივლისამდე გაგრძელდება.

2010 წლის ცვლილებებით, კონსტიტუციაში ლოგიკით დაუშვებელი არაერთი ნორმა იყო შეტანილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო კომისიამ საბოლოო ჯამში შეიმუშავა ცვლილებები, რომლის შედეგადაც, საქართველოს ექნება დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული, დაბალანსებული კონსტიტუცია. მისივე თქმით, 2010 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კონსტიტუციაში საკმაოდ ბევრი ხარვეზი, შეუსაბამობა და კონსტიტუციური ლოგიკით დაუშვებელი არაერთი ნორმა იყო შეტანილი.

„ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა მოახდინა კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელების ინიცირება და უპრეცედენტო მასშტაბის სახალხო განხილვების საფუძველზე, პოლიტიკოსებით, არასამთავრობო ორგანიზაციებითა და დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტებულმა საკონსტიტუციო კომისიამ საბოლოო ჯამში შეიმუშავა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლის შედეგადაც საქართველოს ექნება დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული, დაბალანსებული კონსტიტუცია, — განაცხადა პრემიერმა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, კონსტიტუციის ახალი მოდელი უზრუნველყოფს სრულფასოვან საპარლამენტო მმართველობის მოდელს; მკაფიოდ განაწილებულ პასუხისმგებლობებს ხელისუფლების შტოებს შორის; ძლიერ პარლამენტს თავისი ბუნებრივი როლით; პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოსაცხადებლად გამარტივებულ პროცედურებს; უფრო ეფექტურ მთავრობას; პრეზიდენტის, როგორც ნეიტრალური არბიტრის, კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტებულ ფუნქციებს; ადამიანის, საზოგადოების დაცულობის უფრო მაღალ ხარისხს და კონსტიტუციის გარდამავალ დებულებებში ცალსახად დაფიქსირებულ ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ არჩევანს.

ჩვენს კომპრომისებს ოპოზიციამაც უნდა შეხედოს, როგორც ძალიან მნიშვნელოვან მიღწევას...

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, პოლიტიკურ კომპრომისებს ოპოზიციამაც უნდა შეხედოს.

„მე მადლობა გადავუხადე ვენეციის კომისიის პრეზიდენტს უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერისთვის და გვქონდა საუბარი, რომ ჩვენ გავაგრძელებთ დიალოგს. ჩვენ გავაკეთეთ ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური კომპრომისები და ვფიქრობ, რომ ასევე ოპოზიციამაც უნდა შეხედოს ამ კომპრომისებს, როგორც ძალიან მნიშვნელოვან მიღწევას“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ამიხსნეს ამ კრიზისის მიზეზები, რადგან მე ამას კრიზისად ვაფასებ!

„კონსტიტუცია **უნდა დაემტკიცებინა მთელ პარლამენტს და არა მხოლოდ უმრავლესობას“,** — ამის შესახებ ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ჯანი ბუკიკიომ პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მისივე თქმით, სურს საქართველოს ახალი კონსტიტუცია იყოს სწორად შედგენილი კანონმდებლობა.

„ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო საუბარი პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან. მათ ამიხსნეს ამ კრიზისის მიზეზები, რადგან მე ამას კრიზისად ვაფასებ. მათ ავუხსენი, რომ მსურს საქართველოს ახალი კონსტიტუცია იყოს სწორად შედგენილი კანონმდებლობა, ეს ნიშნავს, რომ კონსტიტუცია უნდა დაემტკიცებინა მთელ პარლამენტს და არა მხოლოდ უმრავლესობას. ვაგრძელებ კონსულტაციებს სხვა პარტიებთან, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოებასთან, მიმაჩნია, რომ ეს კანონმდებლობა უნდა იყოს მისაღები სხვა პარტიებისთვისაც და დამტკიცდეს ფართო კონსენსუსის შედეგად“, — განაცხადა ბუკიკიომ.

ვასილ მაღლაფერიძე: საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაიარაღების გეგმა დამტკიცებულია

გუშინ საზოგადოებრივი მაუწყებლის ცხოვრებაში ისტორიული დღე იყო...

ვულოცავ თითოეულ თანამშრომელს, თითოეულ მოქალაქეს, — ამის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა ვასილ მაღლაფერიძემ სამეურვეო საბჭოს მიერ მაუწყებლის ტექნიკურ-მატერიალური გადაიარაღების გეგმის დამტკიცების შემდეგ განაცხადა.

როგორც მაღლაფერიძემ აღნიშნა, გუშინდლიდან დაიწყო ტექნიკურად და შინაარსობრივად ახალი საზოგადოებრივი მაუწყებლის მშენებლობა.

„ცხადია, ახალი საზოგადოებრივი მაუწყებლის მშენებლობა იწყება ყველა იმ ტრადიციის შენარჩუნებით, რომელიც არსებობდა, მაგრამ ეს მთლიანად მორგებული იქნება კონკრეტულ დროსა და ეპოქაში არსებულ მოთხოვნებზე. სასიხარულოა, რომ სამეურვეო საბჭომ გეგმას ერთხმად დაუჭირა მხარი. ამაში ძალიან ბევრი და დაძაბული შრომაა ჩადებული. აქამდეც იყო მუშაობა დაწყებული და ჩვენმა ტექნიკურმა სამსახურმა ნამდვილად დიდი შრომა გასწია. ვფიქრობ, ყველა ერთად, ჩვენ, ჟურნალისტები მალე ვიხილავთ ახალ ტელევიზიას. ამას დაერთვება ახალი შენობა, ახალი იდეები. მაუწყებელში არსებული ყველა პრობლემა მალე ჩაბარდება წარსულს“, — აღნიშნა მაღლაფერიძემ.

ხაჯიმბა პასპორტიზაციის პროცესს აჩქარებს

ოკუპირებულ **აფხაზეთში პასპორტიზაციასთან დაკავშირებით ე.წ საგანგებო სხდომა გაიმართა. დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას მიერ მოწვეულ შეხვედრას ოკუპირებული რეგიონის ყველა რაიონის ე.წ. საპასპორტო განყოფილების წარმომადგენელი ესწრებოდა. განხილული იყო „გაწეული სამუშაოების“ შედეგები.**

რაულ ხაჯიმბამ ყველა ე.წ. სამსახურის წარმომადგენელს საგანგებო დავალება მისცა, დააჩქარონ მოსახლეობის ე.წ. პასპორტიზაცია და ბინადრობის მოწმობების გაცემა. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 23 თებერვალს აფხაზეთის ე. წ. პარლამენტის მიერ მიღებული „კანონით“ „უცხოელთა აფხაზეთის რესპუბლიკაში სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, ბინადრობის უფლება ენიჭებათ იმ პირებს და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიაზე 1991 წლის ჩათვლით დაიბადნენ და აფხაზეთში 1999 წლის 12 ოქტომბრიდან მუდმივად ცხოვრობენ, ხოლო მოქალაქეობის მიღების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პირი სხვა ქვეყნის, ამ შემთხვევაში საქართველოს, მოქალაქეობაზე, იტყვის უარს.

არსებითი ცვლილებები კონსტიტუციაში ვეღარ შევა!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, მზად არის გააკეთოს ახსნა-განმარტებები ვენეციის კომისიის პრეზიდენტთან, თუ რატომ გადავადდა პროპორციულ სისტემაზე გადასვლა 4 წლით.

„შეგვიძლია, ძალიან მკაფიოდ ავუხსნათ ჯანი ბუკიკიოს ის, თუ რა გახდა ამ გადაწყვეტილებების მიზეზი. ამ გადაწყვეტილებებს ჰქონდა თავისი მიზეზი, ამაზე გვექნება დღეს საუბარი და დარწმუნებული ვართ, რომ ბატონი ჯანი ბუკიკიოსგან იქნება, ბუნებრივია, შესაბამისი პასუხი. როგორც მოგეხსენებათ, მესამე მოსმენის განხილვის პროცესში შესაძლებელია მხოლოდ სარედაქციო ცვლილებების შეტანა დოკუმენტში, აქედან გამომდინარე, არსებითი ცვლილებები დოკუმენტში ვეღარ შევა“, — აცხადებს ირაკლი კობახიძე.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, ვენეციის კომისიამ და პირადად ჯანი ბუკიკიომ ყველაფერი გააკეთა, რომ შემდგარიყო კონსენსუსი საკონსტიტუციო დოკუმენტთან დაკავშირებით საქართველოში პოლიტიკურ სუბიექტებს შორის. ამასთანავე, კობახიძე მადლობას უხდის ვენეციის კომისიის პრეზიდენტს დასკვნისთვის, რომელიც კომისიამ წარმოადგინა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, საქართველოს კონსტიტუცია იქნება არა მხოლოდ ლეგიტიმური, არამედ ყველაზე დახვეწილი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს გრძელვადიან განვითარებას.

„ჩვენ საბოლოო ჯამში ავუხსენით ვენეციის კომისიის პრეზიდენტს, თუ რა განაპირობებდა გადაწყვეტილების მიღებას პარლამენტში, როგორ იქნა ის გადაწყვეტილება მიღებული, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა საბოლოო დოკუმენტი. ამასთან დაკავშირებით, გვქონდა ძალიან ღია საუბარი, ჩვენ გავაგრძელებთ ძალიან მჭიდრო თანამშრომლობას ვენეციის კომისიასთან იმისათვის, რომ საქართველოში შევჯერდეთ ისეთ სამართლებრივ სისტემაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მყარ დემოკრატიულ განვითარებას. ყველა მუხლთან დაკავშირებით არის წინსვლა. ეს კონსტიტუცია, ეს დოკუმენტი აყალიბებს ისეთ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის გრძელვადიან დემოკრატიულ განვითარებას და გამორიცხავს ყოველგვარ ავტოკრატიას გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს მიზანი პირდაპირ არის ასახული ქვეყნის ძირითად კანონში და ეს განაპირობებს მის ლეგიტიმურობას“, — განაცხადა კობახიძემ.

დეპუტატების მეილებზე კიბერთავდასხმა განხორციელდა

პარლამენტში თითქმის ყველა წევრმა ერთდროულად მიიღო საფოსტო შეტყობინება, რომ მათ გზავნილებზე კიბერთავდასხმაა.

„შეტყობინება იყო იმ ზოგადი ტენდენციებიდან, რასაც მსოფლიოში აქვს ადგილი და თავისთავად, ვინც კომპიუტერს მოიხმარს, მე მგონი იცის, რომ არსებობს ხოლმე ასეთი შეტყობინებები, რომლებიც ერთი შეხედვით საეჭვოდ გეჩვენება, არ უნდა გახსნა, იმიტომ რომ ის შეიძლება იყოს ვირუსის საფრთხის შემცველი,“ — განაცხადა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ რომან კაკულიამ. პარლამენტის ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრი სერგო რატიანი კი აღნიშნავს, რომ შეტევა ყველა კომპიუტერზე განხორციელდა, თუმცა, როგორც ცნობილია, დღეს ეს პრობლემა მოხსნილია.

„პრობლემა მდგომარეობდა, როგორც ჩანს, იმაში, რომ ხდება შეტევა. ბევრი ვირუსიანი გზავნილი არსებობს და ის საფრთხეს უქმნის სისტემის დაცვას. გუშინ მივიღეთ ეს შეზღუდვა, დღეს მივიღეთ, რომ თითქოს ყველაფერი გამოსწორებულია,“ — განაცხადა სერგო რატიანმა. ამის თაობაზე შსს-ს კომენტარი არ გაუკეთებია.

საქართველო საგადასახადო ადმინისტრაცია IOTA-ს მმართველი საბჭოს წევრად აირჩიეს

28-30 ივნისს, კიევში, საგადასახადო ადმინისტრაციების შიდაევროპული ორგანიზაციის (IOTA) რიგით 21-ე გენერალური ასამბლეა იმართება, რომელსაც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი გიორგი თაბუაშვილი ესწრება.

გენერალური ასამბლეის ფარგლებში უკვე ჩატარდა IOTA-ს პრეზიდენტისა და ორგანიზაციის მმართველი საბჭოს არჩევნები, რომლის წევრადაც, პირველად, საქართველო იქნა არჩეული. არჩევნებში გამარჯვება, ბოლო დროს შემოსავლების სამსახურში გატარებული რეფორმებისა და IOTA-ს თან ჩამოყალიბებული მჭიდრო თანამშრომლობის კიდევ ერთი აღიარებაა.

პედრო აგრამუნტის თანამდებობიდან გადაყენებას ქართული დელეგაციაც ემხრობა

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პედრო აგრამუნტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ წინადადებას ხელი 100-ზე მეტმა დეპუტატმა მოაწერა. მის გადაყენებას ემხრობა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილიც, რომელიც ქართულ დელეგაციასთან ერთად ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საზაფხულო სესიის მუშაობაში მონაწილეობს.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის გადაყენების პროცედურის დასაწყებად 60 დეპუტატის ხელმოწერაა აუცილებელი, პროცედურის დასაჩქარებლად კი — 120 ხელმოწერა სრულებით საკმარისია. ევროპარლამენტარები პედრო აგრამუნტის გადადგომას სირიაში მისი ვიზიტისა და პრეზიდენტ ბაშარ ასადთან შეხვედრის გამო ითხოვენ. ამ საკითხს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის პირველ დღეს ხმაური მოჰყვა. აგრამუნტიმ სხდომათა დარბაზიც კი დატოვა. პედრო აგრამუნტის სირიის პრეზიდენტთან შეხვედრას რუსეთის დუმის დეპუტატი ესწრებოდა.

მაია მელიქიძე სემეკის წევრის თანამდებობაზე წარადგინეს

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრის თანამდებობაზე კანდიდატურა წარუდგინა. გიორგი მარგველაშვილი საკანონმდებლო ორგანოს აღნიშნულ პოსტზე პრეზიდენტის მრჩევლის ეკონომიკურ საკითხებში, მაია მელიქიძის კანდიდატურას სთავაზობს.

სააკაშვილმა პეტრო პოროშენკო მაგრად „ჩაუშვა“!

მიხეილ სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტს ოკუპირებულ აფხაზეთთან არალეგალურ ვაჭრობასა და შემოსავლის მიღებაში ადანაშაულებს. ამის შესახებ სააკაშვილმა საკუთარ თოქ-შოუში ისაუბრა და განმარტა, რომ შესაბამისი ინფორმაცია მისთვის ცოტა ხნის წინათ გახდა ცნობილი.

„პეტრო პოროშენკო — უკრაინის პრეზიდენტი, 2010 წლამდე საგარეო საქმეთა მინისტრი, 2010 წლის შემდეგ კი ეკონომიკის მინისტრი და, ამავდროულად, ქარხანა „ბოგდანის“ მფლობელი იყო. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთმა ჩვენი ორი ტერიტორიის ოკუპირება მოახდინა. რუსეთი დარბოდა ამ დროს მსოფლიოში და ცდილობდა, რომ ვინმეს ეღიარებინა ეს ტერიტორიები ან რაიმე სახის ურთიერთობა ჰქონოდათ მათთან. უკრაინასთან ჩვენ მაშინ რთული ურთიერთობა გვქონდა, ვინაიდან უკრაინა რუსეთის გავლენის ქვეშ იყო. იანუკოვიჩი არ გამორიცხავდა, რომ უკრაინას შესაძლოა, ეღიარებინა ეს ორი ტერიტორია. ეჭვი მქონდა, რომ გარდა რუსეთის გავლენისა, არსებობდა რაღაც კომერციული ინტერესები. ახლახან მივიღე ინფორმაცია, რომელიც ჩემთვის გაუგებარი და ამაზრზენია. საქმე ის არის, რომ 2010-2014 წლებში, მაშინდელი ეკონომიკის მინისტრის პეტრო პოროშენკოს კომპანია „ბოგდანი“ ოფიციალურად (ეს დოკუმენტებშია მოყვანილი) თავისი პროდუქციის ექსპორტს

ახდენდა ოკუპირებულ აფხაზეთში. პოროშენკო შემოსავალს ღებულობდა არალეგალური, ამორალური, ანტიქართული და ანტიუკრაინული ვაჭრობისგან ოკუპირებულ აფხაზეთთან. პრეზიდენტი პოროშენკო ვაჭრობდა და არღვევდა უკრაინისა და საქართველოს კანონებს და საერთაშორისო სამართალს. ეს არის ოფიციალური დოკუმენტირებული ინფორმაცია. არც ერთი ავტობუსი ექსპორტზე არ გადიოდა ისე, რომ პოროშენკოს არ სცოდნოდა. მე ეს ვიცი იმიტომ, რომ ჩვენ საქართველოში გვყავდა ჩამოყვანილი ეს ავტობუსები. მე მოვითხოვ, რომ პოროშენკომ პასუხი გასცეს ამას“, — განაცხადა სააკაშვილმა.

გამოთხოვება

გურამ ღლონტი



ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა, მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, ცნობილი მხატვარი-გრაფიკოსი გურამ ღლონტი.

გურამ ღლონტი დაიბადა 1947 წელს ქ. ოზურგეთში. 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი. ამავე წლიდან დღემდე ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას, წარმატებით მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საზღვარგარეთის სამხატვრო გამოფენებში: როსტოკის VI ბიენალე (გერმანია), ბერლინის „ინტერგრაფიკა-76“ (გერმანია), „ახალგაზრდა მხატვრები“ (ბულგარეთი, გერმანია, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, კუბა, 1977 წ.) შვედეთი და ევროპის სხვა ქვეყნებში.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად მხატვარი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო სასწავლებელში. მის მიერაა აღზრდილი მხატვართა არაერთი თაობა.

1970 წლიდან იგი იყო სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარი მხატვარი. მხატვრულად გაფორმებული აქვს ქართველი და უცხოელი მწერლების არაერთი ნაწარმოები.

ბატონი გურამ ღლონტის ნამუშევრები დაცულია როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის მუზეუმებსა და გალერეებში: საქართველოს ეროვნული გალერეის, ხელოვნების მუზეუმის, პოლონეთის თანამედროვე ხელოვნების, მოსკოვის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში. ასევე, კერძო კოლექციებში აშშ-ში, ბელგიაში, ბულგარეთში, გერმანიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, რუსეთში, შვეიცარიაში, პოლონეთსა და მრავალ სხვა ქვეყანაში.

ბ-ნი გურამი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ მოწყობილ პლენერებში, სიმპოზიუმებში და საქველმოქმედო აქციებში. მიღებული აქვს ჯილდოები, დიპლომები და სიგელები.

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი, განათლებული, უკეთილშობილესი, ღირსეული პიროვნება, თავდადებული მეგობარი და დაგვიტოვა დიდი ნაღველი და გულისტკივილი. ბატონი გურამ ღლონტის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი ოჯახის, ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლების ხსოვნაში.

გურამ ღლონტის გარდაცვალება ქართული სახვითი ხელოვნების დიდი დანაკლისია.

საქართველოს მხატვართა კავშირი,
საქართველოს მხატვართა ეროვნული შემოქმედებითი კავშირი

განიხილეს საქართველო-სომხეთის ეკონომიკური ურთიერთობების საკითხები

„საქართველოსა და სომხეთს აქვს ორმხრივი სავაჭრო ურთერთობების განვითარების დიდი პოტენციალი და ჩვენ ეს შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ“, — ამის შესახებ გიორგი გახარიამ ერევანში სომხეთის ეკონომიკური განვითარებისა და ინვესტიციების მინისტრთან სურენ კარაიანთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. ორი ქვეყნის მინისტრებმა საქართველოსა და სომხეთის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრეს და განიხილეს ორმხრივი და საერთაშორისო ბაზრებზე ვაჭრობის მნიშვნელოვანი საკითხები.



გიორგი გახარიამ სომეხ კოლეგასთან შეხვედრაზე ხაზი გაუსვა ბიზნესფორუმის მნიშვნელობას, რომელიც საქართველოსა და სომხეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატების ორგანიზებით 29 ივნისს ერევანში იმართება. მინისტრის თქმით, მსგავსი ფორუმები კარგი საშუალებაა კერძო სექტორს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისა და ერთობლივი საინვესტიციო პროექტების განხორციელებისთვის.

შეხვედრაზე გიორგი გახარიამ ასევე ისაუბრა საქართველოს მიერ გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების მნიშვნელობაზე როგორც საქართველოსთვის, ისე რეგიონის ქვეყნებში არსებული სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალისა და ექსპორტ-იმპორტის მაქსიმალურად რეალიზებისთვის. მინისტრის განცხადებით, პატარა ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გახდნენ მიმზიდველი პლატფორმა დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის ვაჭრობისთვის. გიორგი გახარიამ ასევე აღნიშნა, რომ ორივე ქვეყნის მთავრობებმა მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი კერძო კომპანიებს მნიშვნელოვან სავაჭრო ბაზრებზე გასვლისა და დივერსიფიკაციის პროცესებში.

გიორგი გახარიამ და სურენ კარაიანმა ასევე ისაუბრეს ტურიზმის სექტორზე, რომელიც ორ ქვეყანას შორის მნიშვნელოვნად ვითარდება.

სომხეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეულში შედის. ქვეყნებს შორის სამთავრობო დონეზე შექმნილია ორმხრივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, საინვესტიციო, კულტურის, განათლებისა და სხვა სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოების მიმართულებით აქტიურად მუშაობს.

„ბიძინა ივანიშვილი საქართველოში იმყოფება და მშვენიერ ფიზიკურ ფორმაშია“, — ასე გამოეხმაურა სდსს-ს უფროსი ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას. ანზორ ჩუბინიძე ამბობს, რომ ივანიშვილს არავითარი ჯანმრთელობის პრობლემა არა აქვს და მას ქვეყანა არც დაუტოვებია. ბიძინა ივანიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, უკვე მერამდენედ აკეთებს დამატებით განცხადებას ჯანდაცვის მინისტრი, ყოფილი პრემიერის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

ამის მიუხედავად, ივანიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით ინფორმაციები აქტიურად ვრცელდებოდა. ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ივანიშვილი გერმანიაშია გადაყვანილი. შეგახსენებთ, რომ ყოფილი პრემიერის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ ინფორმაცია გასულ კვირას, გვიან ღამით „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებმა სოციალური ქსელით გაავრცელეს და ერთმანეთს ულოცავდნენ „ახალ ამბავს“.

ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ აჩვენა რომ, ხელისუფლების ოპონენტების ფსიქოლოგიაში არაფერი შეცვლილა და დაადასტურა, რომ ნაციონალების ხელში ძალაუფლება საკმაოდ საშიშია.

გვესაუბრება **რამაზ საყვარელიძეს**.

ნაციონალების ზეობის პირობებში ბევრს აღარ დაედგომება ამ ქვეყანაში...

აი, ეს აჩვენა ივანიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გამოხატულმა ქილიკმა

— კომუნისტური რეჟიმი, გამსახურდიას ხელისუფლება... მერე იყვნენ შევარდნაძე, საკაშვილი, ცვლილებებს თან სდევდა დანაშაული და დაუსჯელობა, შედეგი სამწუხაროდ, დღემდე მოგვყვება. მაგრამ ყველა საზღვარი გადალახა ბიძინა ივანიშვილის შესაძლო ავადმყოფობის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების მიერ იქნა გავრცელებული. ვნახეთ, რომ ადამიანების ერთი ჯგუფი ზეიმობდა და საკმაოდ უხეში ფორმით გამოხატავდა აგრესიას ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ბატონო რამაზ, როგორ შეიძლება აიხსნას აგრესიულობის ეს ტალღა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებში არსებობს?

რა გითხრათ? — თქვენ დაუსჯელობა ახსენეთ და გამახსენდა უახლესი ისტორიის მძიმე ფრაგმენტი, აგრესიულობის ის ტალღა, როცა 90-იან წლებში საკმაოდ წონიანი, თითქოს აკადემიურიც, პროფესორები, მეცნიერები გამოდიოდნენ პუბლიკაციებით, რომ საქართველოში მყოფმა არაქართველებმა უნდა მონახონ თავიანთი ადგილი ამ ქვეყანაში; ოსები უნდა დაუბრუნდნენ ჩრდილოეთ ოსეთს, ხოლო ვისთვისაც საქართველოს ტერიტორია იქცა სამშობლოდ, ისინი უფრო მოკრძალებული უნდა იყვნენ ქართულ სივრცეშიო. ეს ეხებოდა აფხაზებსაც.

— და მაშინ წამოვიდა ფრაზაც — „ეს აფხაზები, აფსუები“, რამაც საკმაოდ აგრესიული ფორმა მიიღო...

— ნამდვილად და ხაზი გაესვა იმას, რომ ესენი არიან უსამშობლო აფსუები და ა.შ. ეს ტალღა საბჭოთა კავშირის არსებობის პიკზე აგორდა. მერე ამას მოჰყვა დამოუკიდებლობა და მერე ის კონფლიქტები, რომელიც, ფაქტობრივად, ამ პუბლიკაციების გარკვეული გამოძახილი და ანარეკლი იყო. საპასუხო დამოკიდებულება გაჩნდა როგორც ოსებში, ასევე აფხაზებში და მოხდა ის, რაც მოხდა — დავკარგეთ ტერიტორიები, ადამიანები და ნდობა. ამ ტრაგედიის შემდეგ, გადაბმული სიტყვა აფხაზებზე და ოსებზე ქართულ პუბლიცისტიკაში აღარ მინახია. სამწუხაროდ, ასეთი რამ უნდა მოხდეს, რომ ადამიანებმა ნახონ, რა შეცდომას ჩადიან.

— მაგრამ, როცა დაინახეს, რა შეცდომაც ჩაიდინეს, ამ მძიმე გაკვეთილმა თავისი შედეგი გამოიღო?

— კი, რა თქმა უნდა და უფრო ხშირად ისმის ფრზა — ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები, ვიდრე ის, რომ იქ წავიდნენ, საიდანაც მოსულანო, ამ მოვლენებმა გვაჩვენა, რომ მხოლოდ ქართველია აგრესიული. ნებისმიერი ქვეყნის შვილი, თუ მას თავისუფლება მიეცემა, არავინ იცის, ვინ როგორ გამოიყენებს ამ თავისუფლებას, უმძიმესი იყო გერმანელების მიერ გამოყენებული თავისუფლება ფაშიზმის დროს, რაც უმწვავესი აგრესიის ფორმებში გადავიდა.

> **დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ხელი გადააფარა „ნაციონალურ მოძრაობას“ და ფაქტობრივად, დაიცვა ის საზოგადოების აგრესიისგან, რადგან, პირველივე შემთხვევაში, როგორც კი საზოგადოებას ამის გამოხატვის საშუალება ექნებოდა, საკადრის პასუხს მიიღებდნენ. რომ არა ივანიშვილი, იმ აგრესიულობის გამო, რომელიც „ნაციონალებმა“ გამოავლინეს 9 წლის განმავლობაში და რომელიც ახლაც ახასიათებთ, ხალხი საკადრის პასუხს გასცემდა მათ.**

— „ნაციონალური მოძრაობა“ მართალია, სამ ნაწილად გაიყო, მაგრამ პოლიტიკა იგივე აქვთ. რას ფიქრობთ, ამ ჯგუფის ხელში ძალაუფლების კონცენტრაცია იგივე შედეგს მოგვცემს?

— მართალი ბრძანდებით, უბრალოდ, შურისძიების გამო დაიწყებენ ხალხის განადგურებას. მათი ზეობის პირობებში ბევრს აღარ დაედგომება ამ ქვეყანაში, აი, ეს აჩვენა ივანიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გამოხატულმა ქილიკმა.

— რისი შედეგია ეს აგრესია?

— 2012 წლის ოქტომბრის მარცხის შემდეგ საკმაოდ მორიდებულები იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები. არ ლაპარაკობდნენ, ხმას არ უწევდნენ, მაგრამ როცა ნახეს, რომ დაუსჯელები რჩებიან, აი, ამ დაუსჯელობამ გაჩინა აგრესიულობის კიდევ უფრო მეტი ტალღა. აფხაზებისა და ოსების მიმართ აგრესიულობის სურვილი გაგვიქრა მას მერე, რაც დავისაჯეთ. ჩვენ ვისწავლეთ, რა ცუდია აგარესიულობა, მაგრამ „ნაციონალებმა“ ნახეს, რომ ცუდი არ არის აგრესიულობა, რადგან ყველას თავისი აგრესიულობა გაუვიდა და რაც მთავარია, თვითონ სიამოვნებთ ეს აგრესია.

— რატომ სიამოვნებთ ეს აგრესია? როგორც კი მიეცათ სრული ძალაუფლება, შედეგად მივიღეთ ის, რომ გახდნენ ძალიან რადიკალები, იგივე ძმები ახალაიები, ქარდავები, შამათავა და ა.შ. ყველა დაზარალებული ამბობს, რომ ისინი აგრესიისგან კმაყოფილებას იღებდნენ...

— „აგრესია სიამოვნებს“, — ზის ადამიანში ეს მარცვალი, სხვა შემთხვევაში სერიული მანიაკი, ანუ სერიული მკვლელი არ იარსებებდა. მაგრამ, თუ რატომ ზის, ეს გრძელი შესწავლისა და მსჯელობის თემაა. მადლობა ღმერთს, რომ ივანიშვილმა შეაჩერა აგრესია, „ნაციონალებისგან“ დაჩაგრული ადამიანებისთვის რომ ხელ-ფეხი გაეხსნა, თქვენ მაშინ უნდა გენახათ აგრესიულობა. ამ ადამიანებს ვერავინ ვერ გამოგლეჯდა ხელიდან ნაციონალებს და მათ თავიანთი გამართლება ექნებოდათ. ეს საპასუხო შედეგია.

— ერთია, რომ ადამიანები არიან აგრესულები და ამით კმაყოფილებას იღებენ, მაგრამ საინტერესოა, რა ნაპერწკალმა გააჩინა ინფორმაცია იავნიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ?

— ვერ გეტყვით, რა ნაპერწკალმა გაჩინა ეს ტალღა. შეიძლება, ვიღაცამ ფრაზად ჭორი თქვა, იმდენად სასურველი ჭორი იყო, რომ აიტაცეს. თუკი დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ სადაც ივანიშვილი ფიგურირებს, იქ ემოციაც ჭარბობს და აგრესიულობა ჭარბობს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც კრიტიკული არიან „ნაციონალების“ მიმართ. ჩვენ არ შევიმჩნიეთ, გავატარეთ ეს აგრესია და შედეგიც მივიღეთ.

— საზოგადოებისთვის რამდენად საშიში ხდება ეს აგრესიული ჯგუფი?

— ერთი კაციც რომ იყოს აგრესიის მატარებელი, ისიც საშიშია, რადგან არავინ იცის, რას მოიმოქმედებს და რას მოიტყუება. დავაკვირდეთ საზოგადოების რეაქციას „ნაციონალების“ გამონათქვამებზე: „ესენი ამას არ უნდა ამბობდნენ“, „არაფერი მოუნანიებიათ“ და ა.შ. ნაციონალები კი, სხვას აბრალებენ იმას, რასაც თვითონ აკეთებდნენ, ანუ ეს ჯგუფი ყველაფერზე მიდის. ამიტომ, აქ უკვე სინდისის თემა არ დგას.

— რაც დრო გადის, მით უფრო ამჟღავნებენ აგრესიას, თავდასხმაც სააშკარაოზე გამოდის, იქნებ კოჰაბიტაცია იყო შეცდომა, უმძიმესი დანაშაული იქნა ჩადენილი და პასუხი არავინ აგო, რამაც მეორე მხარესაც გააჩინა აგრესია. აგრესიულები არიან ივანიშვილის მხარდამჭერებიც, ვერ ვიტყვით, რომ საზოგადოების ერთი ნაწილია აგრესიული, მთლიანად საზოგადოება გახდა აგრესიული...

— აბსოლუტურად სწორია, მთლიანად საზოგადოებას სჭირს ეს უბედურება. „ნაციონალების“ ის ნაწილი ამ საზოგადოების სტანდარტებით მოქმედებს და ამიტომ აგრესიულობას ხდის დასაშვებად. ჩვენს საზოგადოებას სჭირს ეს უბედურება, რომ დასაშვებია აგრესიულობა. ცნობილი გამონათქვამია: „არც ერთ თქვენს აზრს არ ვიზიარებ, მაგრამ სიცოცხლისთვის არის აუცილებელი, რომ ამ აზრმა იარსებოს“, — წმინდა ევროპული მოვლენაა.

ასეთი პოზიცია არ გვაქვს, ამიტომ ნაადრევია ლაპარაკი ჩვენს ევროპულობაზე. არააგრესიულობა — ეს არის ევროპელობის არსებითი ნიშანი. აგრესიულობა — ეს არის ანტიევროპულობის ნიშანი.

ერთი მხრივ, „ისლამური სახელმწიფო“ და მეორე მხრივ, რუსეთი, ეს არის ჰიპერაგრესიულობა. აგრესიულობა კი გვაშორებს ევროპას.

ჩვენი ჰიპერემოციურობის და არარაციონალურობის ბრალია ის, რომ ემოციების გარდა არაფერი არ გვინდა გავიგონოთ, შედეგებზე ორიენტირებული არ ვართ. პოლიტიკური ჯგუფები რომ შედეგზე იყვნენ ორიენტირებული, ეცდებიან, რაც შეიძლება კარგი და მისაღები იყვნენ ხალხისთვის მათი გამონათქვამებით და ქცევით, მაგრამ ეს არ აინტერესებთ, თავიანთი ემოციის გამოვლენა უნდათ. რას ვიზამთ, ასეთები არიან.

ვიმეორებ, ერთ-ერთი რაც ჩვენ გვაშორებს ევროპას, ეს არის აგრესიულობა. ძალიან სამწუხაროა, ოღონდ პარადოქსული და ეს პარადოქსი არის დამაფიქრებელი, რომ ის პოლიტიკური გუნდი, რომელიც ამბობს, რომ ევროპული მიმართულება არის მთავარი, თვითონ იქცევიან ყველაზე უფრო არაევროპულად. ეს არის აგრესიით და სიძულვილით განმსჭვალული გუნდი, რომელთაც მარტო თავისიანები უნდათ და დანარჩენი საქართველო შეუძლიათ, ცეცხლს მისცენ.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ინტერპოლს სოსო თოფურიძის ძებნის შესახებ შუამდგომლობით აღვოკატებმა მიმართეს

კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნის იოსებ თოფურიძის გვარი ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილთა ვებგვერდზე აღარ იძებნება https://www.interpol.int/notice/search/wanted. საქართველოს მთავარ პროკურატურაში კი ირწმუნებიან, რომ თოფურიძეზე საერთაშორისო ძებნა არ შემწყდარა.

„შემიძლია, ოფიციალურად დაგიდასტუროთ, რომ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოსდა მსჯავრდებულ იოსებ თოფურიძეზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნა შეწყვეტილია, სიმართლეს არ შეესაბამება. მოგახსენებთ, რომ მასზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა 2012 წელს და ის კვლავ იძებნება ინტერპოლის წითელი ცირკულარით“, — აღნიშნა მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ გიორგი გრძელიშვილმა.

ვითარებაში გასარკვევად „აქცენტი“ თოფურიძის ადვოკატ ელენე ლაზარიაშვილს დაუკავშირდა.

„შემიძლია, გითხრათ, რომ ინტერპოლს ძებნის შეწყვეტის შუამდგომლობით ჩვენ მივმართეთ, მაგრამ ბატონი იოსების სურვილია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარები არ გავაკეთოთ და შესაბამისად, ვერ ვაკეთებთ“, — განაცხადა ადვოკატმა.

კითხვაზე, დააკმაყოფილა თუ არა ინტერპოლმა შუამდგომლობა, ადვოკატი პასუხობს: „საიტზე შეგიძლიათ, ნახოთ, რომ გვარი არ იძებნება. მე მეტს ვერაფერს გეტყვით“.

საქართველოში პირველი ორი ინსტანციის სასამართლოებმა თოფურიძე დამნაშავედ სცნეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების საქმეში. თოფურიძესთან ერთად საქმეზე თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა დამნაშავედ სცნეს კუდ-ის ყოფილი დირექტორი დათა ახალაიაც (სოსო თოფურიძე დათა ახალაიას მოადგილე იყო), კუდ-ის პირველი სამმართველოს ყოფილი უფროსი გერონტი ალანია და ოპერატიული თანამშრომელი ოლეგ მელნიკოვი.

პროკურატურის ინფორმაციით, 2005 წლის 5 იანვარს ახალაიამ მის მოადგილე იოსებ თოფურიძესთან, გერონტი ალანიასთან, ოლეგ მელნიკოვთან და კუდ-ის სხვა თანამშრომლებთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ „მოდულის“ შენობაში, დავით ახალაიას სამუშაო ოთახში, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა შს სამინისტროს პოლიციის მოქმედ თანამშრომლებს იმ მოტივით, თითქოს პოლიციის თანამშრომლებმა 2005 წლის 2 იანვარს რესტორან „ძველ სახლში“ შს იმჟამინდელ მინისტრ ივანე მერაბიშვილის მეუღლეს თაკო სალაყაიას უხეშად მიმართეს.

მელნიკოვზე, დათა ახალაიაზე, გერონტი ალანიასა და თოფურიძეზე ინტერპოლის ხაზით ძებნა 2012 წელს გამოცხადდა. მელნიკოვი უკრაინაში დააკავეს კიდეც. რაც შეეხება ალანიას, ახალაიასა და თოფურიძეს, მათზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნა ეტაპობრივად შეწყდა.

ნიჭიერი კაცი ყველგან ნიჭიერია!..

სუპერ!..

თუ დრო გაძვთ და რუსულზედაც მწყრალად არ ხართ, ღირს ბოლომდე მოსმენა. გულიც გაგითბებათ და საფიძრალიც გაგიჩნდებათ. ერთ კომენტარშიც მოწოდებაა: მთავრობის წევრებსაც მოასმენინეთ და დეპუტატებსაცო. ხაზგასმული თხოვნაა, ჯეჯელავასაცო!

არსად, არც ერთ საპარლამენტო თუ სამთავრობო სხდომაზე (არადა ბევრის მონაწილე ვყოფილვარ, უფრო ბევრი მინახავს და...), არასდროს მსგავსი გამოსვლა არ მომისმენია. არც ფორმით, არც შინაარსით. ასეთი ძვეტექსტები, ასეთი ფორმა-მინიშნებებისა, ასეთი გულანთებული და ბრძნული, პარალელურად – ხისტი და განსაცვიფრებლად ტაქტიანი ლექცია კულტურისა და განათლების მნიშვნელობაზე, ძვეყანაში მათ რეალურ მდგომარეობაზე პოლიტიკოსებისთვის იშვიათად თუ ვინმეს წაუკითხავს.

ბრავო!

ნიჭიერი კაცი ყველგან ნიჭიერია!..

ყოველივე, რაზეც ისაუბრა, ერთობ საინტერესოა.. მაგრამ ამჯერად გამოვყოფ ერთ მიმართულებას, მოსწავლეს, სკოლას და მასწავლებელს რომ ეხება... და ამას შეგნებულად ვაკეთებ, რამეთუ, უმალ გამახსენდა ის ქართველი კაცი, სიღრმით, ორატორული ოსტატობით, ენთუზიაზმით, პროფესიონალიზმით, თავდადებით და აღტკინებით არაფრით რომ არ ჩამოუვარდება ასეთ უნიკალურ პიროვნებებს.

დიახ, ამ და, ეგებ, უფრო მეტიც გახლავთ შალვა ამონაშვილი – „ახალი ქართული პედაგოგიკის“ მესაძირკვლე, საერთაშორისო ავტორიტეტისა და რეპუტაციის მქონე მეცნიერი და პრაქტიკოსი, დაუვიწყარ ლევან ჩიქვანაიასთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად რომ შექმნა, სწორ გზაზე დააყენა თბილისის ლეგენდარული პირველი რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლა საირმის ქუჩაზე.

ბატონი შალვა ახლა, ძირითადად რუსეთში მოღვაწეობს (სხვა გზა არ დაუტოვეს), სადაც ერთობ აღიარებული და პატივდებულია, არჩეულია პედაგოგიკის აკადემიის ნამდვილ წევრად; ზაფხულობით ჩამოდის მშობლიურ კახეთში და თავის შვილთან – პაატასთან ერთად თავის მამულში მასპინძლობს და „ამუშავებს“ საერთაშორისო პედაგოგიურ სკოლას... უამრავი მსმენელი ყავს უცხოეთიდან, თუმც მასთან „მსმენელად“ მოხვედრა არცთუ იოლი საქმეა.

ვიცი რომ შარშან შეხვდა განათლების სამინისტროს ხელმძღვანელებს. შეხვედრით კი შეხვდა, მაგრამ შედეგი... არ ვიცი, ეგებ არის კიდეც რაიმე შედეგი... მაგრამ სამინისტროს „პიარიდან“ (ისევე, როგორც სხვა სამთავრობო სტრუქტურების შესაბამისი სამსახურებიდან) რაიმე საინტერესოს განა გაიგებ? არადა, მთავრობის მთავარი „პიარშიკი“ ხომ არ გახსოვთ, ვინ არის?

ახლა ვიღაც მისი ნამეტნავად „გულანთებული“ ფანი ან კოლეგა იტყვის (გაიფიქრებს) რას გადაეკიდაო... რა უნდაო... საყვედურნარევი ტონით ხშირად რატომ ახსენებსო...

მერე, არ გიხარიათ რომ ვახსენებ? დაჟინებით! დაინტერესებით! ხშირად კრიტიკულად, მომთხოვნელობით!... არასოდეს – ქილიკით, ლანძღვა-გინებით!

ზოგჯერ – იუმორითაც, რამეთუ, არცთუ იშვიათად, თავად იძლევა მიზეზსა და საბაბს. სწორედ ეს არის საზოგადოებრივი აქტიურობა, საზოგადოებრივი გულშემატკივრობა... ესე იგი, მეც და ბევრ სხვასაც სულ გვაინტერესებს, გვახსოვს, ვაკვირდებით, გვინდა რომ უკეთესი გახდეს ეგ სფერო...

რა არის ამაში ცუდი?

ამ შეკითხვას უმიზეზოდ არ ვსვამ, რამეთუ ჩვენამდეც აღწევს ზოგიერთი მითქმა-მოთქმა... ჰოდა ამ მიმთქმელ-მომთქმელთა გასაგონად ვამბობ: ცუდი იმაშია, რომ მავანს და მავანს, როგორც ჩანს, საფუძვლიანად არ ესმის ამ ყველაზე უმთავრესი(!!!) სფეროსადმი ჩვენი, მთელი საზოგადოების ინტერესის საფუძველი, მისი დამოკიდებულების სულისკვეთება, წუხილი, დახმარებისა და ხელშეწყობისათვის მზადყოფნა... დიახ, ალბათ, არ ესმით და, აქედან გამომდინარე, არ იყენებენ ათასობით ადამიანის ენერგიას, ცოდნას, გამოცდილებას და გონივრულად, არ წარმართავენ ამ მისწრაფებას, ამ უანგარო(!!!) ძალას განათლების სისტემის, ანუ, ქვეყნის მომავლის სასარგებლოდ!

და რაღამც გვეჩვენება, რომ ჯეროვნად ეს არ ესმით, გვიჩნდება გონივრული ეჭვი: ესე იგი, არც თავიანთი დანიშნულება ესმით ისე ღრმად, ისე გამიზნულად რომ სულ წყალშია ჩაყრილი ის თბილი და იმედიანი სიტყვები, რომლებიც სისტემის ამ თავკაცის წარდგენისას დაიხარჯა უმაღლეს დონეზე. და „იქ“ თუ თვალს ადევნებენ და აანალიზებენ მედიის პუბლიკაციებს, მათთვის საიდუმლო არ უნდა იყოს კრიტიკული განწყობა საზოგადოებისა, კონკრეტულად, სოციალური ქსელების „მრევლისა“, რომელიც საეჭვოდ მიიჩნევს მავანის მენეჯერობის განსაკუთრებულ ნიჭს და გამოცდილებას, და ამას საზოგადოების ერთგვარ „პიარულ“ დაბოლებად აღიქვამს. მით უმეტეს, როცა იგი, ვიცე-პრემიერის რანგში სამთავრობო „პიარ-სახეც“ გახდა. ყველაზე ხილულად ეს იმ ანეკდოტურ შეფასებებში გამოიხატება, რაც ფინანსთა ექს-მინისტრის ნ.ხადურის შემდეგ განათლების თავკაცზე გადამისამართდა.

და ამის ერთ-ერთი მიზეზი ამ ე.წ. რეფორმის კარჩაკეტილობაა! ვიწრო თუ ფართო უწყებრივ თათბირ-შეკრებებზე მსჯელობა კიდევ არ ნიშნავს ფართო საზოგადოებრივ განხილვას. აი, ისეთს, სულ ახლახანს კონსტიტუციაში შესატან სავარუდოო ცვლილებებთან დაკავშირებით რომ ჩატარდა. „არნახული“ მენეჯერისთვის ეს რა სიახლე უნდა იყოს? თუ ის არის ასახსნელი, რომ განათლების სისტემის რეფორმა ყველგან და ყოველთვის იყო, არის და იქნება საზოგადოების განსაკუთრებული, მაქსიმალური ინტერესის სფერო, რამეთუ, ეხება ყველა ოჯახს, დაბადებიდან ზრდასრულობამდე მომავალი თაობის აღზრდა-ჩამოყალიბებას. არაფერს ვიტყვი მის მრავალმხრივობასა და მრავალწლიან ხანგრძლივობაზე, მით უმეტეს ვეებერთელა ხარჯზე, რომელიც ჩვენი ჯიბეებიდან უნდა წავიდეს... ჰოდა, ვის უმალავს მთავრობა ამ პროცესთან დაკავშირებულ დეტალებს „ა“-ნიდან „ჰ“-მდე?

დაბეჯითებით ვამბობ: არავითარი პირადული, გარდა გულშემატკივრული დაინტერესებისა, ჩვენს ინტერესში არ არის, გარდა იმისა, რომ ამ სფეროს მარტო აწმყოს კი არა, წარსულსაც საკმაოდ ვიცნობთ და მისი ახლანდელი ხელმძღვანელების მომზადება-გამოცდილებაზეც მარტო მათი დღევანდელი პრაქტიკით არ გვაქვს წარმოდგენა, უცხო არამცთუ არის, არამედ წლების მანძილზე პირადად ვმონაწილეობდით იმ ატმოსფეროს შექმნაში, რომელმაც ავტორიტეტი შეუქმნა დიდი ქართველი მეცნიერების ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას და სხვათა, აგრეთვე, ლეგენდარული დირექტორის ვალერიან მელაძის ინიციატივით და მეცადინეობით შექმნილ ვ.კომაროვის სკოლას, რომლის კურსდამთავრებულის დიპლომი ახლა, ჩემდა მოულოდნელად, ისეთ კაშკაშა მწვანე შუქს უნთებს ზოგიერთს სამთავრობო დერეფნებში შესაღწევად, რომ ჰარვარდისა და კემბრიჯის ჰაერნაყლაპი ტიპაჟი შურით შესაძლოა, „გასკდეს“. ეს ისე, ცოტა ხუმრობანარევად!

უფრო სერიოზულად და მტკიცედ კი იმას მოვახსენებ საზოგადოებას, რომ არამც თუ დროა, დაგვიანებულიც კი გახლავთ არსებული მდგომარეობის რეალური შეფასება. ზემოთაც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: არ არის და არც შეიძლება იყოს ეს სფერო და დაგეგმილი (!) რეფორმა დახურულ-გასაიდუმლოებულ-საექსპერიმენტო ისე, რომ მის დაწყება-მიმდინარეობას ფართო საზოგადოება მედიაში კანტი-კუნტად გაჟონილი ინფორმაციით იღებდეს. ისიც, ზოგჯერ „კომბლეს“, „ნაცარქექიას“, „წითელქუდას“ და სხვა ქართული ზღაპრების პერსონაჟებთან დაკავშირებული ანეკდოტური მოსაზრებების სახით.

თუ მავანს სურვილი ექნება, შეგვიძლია გავაგრძელოთ ამ საკითხთან დაკავშირებით დისკუსია ნებისმიერ დონეზე. აი, ისე, პროფესორმა რევაზ ბალანჩივაძემ რომ წამოიწყო „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე. სხვათაშორის, ბრძენი ადამიანებები არიან ბატონი რეზო და მისი წარმდგენი – ამ გაზეთის რედაქტორ-დამფუძნებელი, უნიჭიერესი ქართველი შემოქმედი თამაზ წივწივაძე და მათთვის ყურისგდება ღირს...

მანამდე კი, თხოვნა და რჩევა გვექნება მაღალჩინოსნებისა და დეპუტატებისადმი: რუსი სენატორების წინაშე ამ ხელოვნებათმცოდნის გამოსვლის მოსმენა-ნახვით არა მარტო დატკბით, არამედ დაფიქრდით და განეწყვეთ კულტურისა და განათლების სასარგებლოდ!



ნუგზარ ფოფხაძე

ავლიპ ზურაბიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია გრძელდება

თბილისის მერი დავით ნარმანია კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებთან და ისნის რაიონის გამგებელთან ვახტანგ ქიზიყურაშვილთან ერთად ავლიპ ზურაბიშვილის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს გაეცნო.

თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური თბილისში, ავლაბრის მოედნიდან ჯორჯ ბუშის ქუჩამდე მონაკვეთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს. პროექტი ნიკიფორე ირბახის, ალექსანდრე წურწუმიას, ავლიპ ზურაბიშვილის ქუჩების სრულ, ხოლო თელავის ქუჩის მონაკვეთის კაპიტალურ რეაბილიტაციას ითვალისწინებს. 2,2-კილომეტრიან მონაკვეთზე, ახალი ბაზალტის ბორდიურებით მოეწყობა ტროტუარები, განხორციელდება 1,5 კმ-ზე სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია და მოეწყობა გზის საფარი.

„ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც სექტემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს, რათა სწავლის დაწყებისთვის გზა ორივე მიმართულებით იყოს გახსნილი. ასფალტის ახალი საფარი დაიგება ირბახის, წურწუმიას, ზურაბიშვილის ქუჩებზე. ასევე, გზის დაზიანებული ნაწილი აღდგება მეტრო ავლაბრის მიმდებარე ტერიტორიაზე,“ – განაცხადა დავით ნარმანიამ.

„აგროლეინა“ ბაღდათში მოცვის კრეფა დაიწყო

ბაღდათის მუნიციპალიტეტში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა იმერეთის გუბერნატორის მოადგილესთან იოსებ ხახალეიშვილთან და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორთან მამუკა კვარაცხელიასთან ერთად თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ხილის გადამამუშავებელი საწარმო, შპს „აგროლეინი“ დაათვალიერა და კომპანიის კუთვნილ 6 ჰექტარზე გაშენებულ მოცვის ბაღში მოსავლის კრეფის პროცესს დაესწრო.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ლევან დავითაშვილის განცხადებით, კომპანია „აგროლეინი“ იმ წარმატებულ საწარმოთა სიაშია, რომლებმაც სახელმწიფოს ხელშეწყობით საერთაშორისო სტანდარტის საწარმოები შექმნეს.

კომპანია „აგროლეინში“ ლურჯი მოცვის და ჟოლოს გადამუშავება ხორციელდება. კომპანია წლიურად 12 ტონა გაყინულ ჟოლოს და 56 ტონა გაყინულ მოცვს აწარმოებს. პროდუქცია იყიდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე გადის ექსპორტზე. საწარმო, სადაც 30 ადამიანია დასაქმებული 2016 წელს აშენდა. რაც შეეხება კომპანიის კუთვნილ მოცვის ბაღებს, წელს 1 ჰექტარზე 10 ტონა მოსავალს ელოდებიან.

კოოპერატივი „რკ აგრო-ლია 2014“ იწვევს მეპაიეთა საერთო კრებას –

პაის გაზრდისა და წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც ჩატარდება 2017წლის 25ივლისს 12სთ-ზე მისამართზე: ქ.ზუგდიდი, კოსტავას ქ.112

გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ინვოისი

საკონტაქტო: 595 75 45 45

ტრადიციული ბრძოლა მგზავრებს, მძღოლებსა და კომპანიას შორის

როგორც კი დედაქალაქში ჩამოცხა, მაშინვე აქტუალური გახდა ტრადიციული და მუდამ მოუგვარებელი პრობლემა — ყვითელი მიკროავტობუსების კონდიცირება. მგზავრები უკვე ჩივიან და მძღოლებთან კონფლიქტს არ ერიდებიან, ხოლო შპს „თბილისის მიკროავტობუსში“ თერმომეტრს აკვირდებიან.

„დედაქალაქის მასშტაბით მოძრავ მიკროავტობუსებში კონდიციონერი მას შემდეგ ჩაირთვება, რაც ტემპერატურა 27-28 გრადუსს მიაღწევს“, — აცხადებენ „თბილისის მიკროავტობუსის“ პრესსამსახურში. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 3-4 დღეა, თერმომეტრის სინდიყმა უკვე 30 გრადუსს გადააჭარბა, ყვითელი „მარშრუტკების“ მფლობელ კომპანიაში ამტკიცებენ, რომ ჯერჯერობით კონდეციონერების ჩართვის აუცილებლობა არ არსებობს, რადგანაც არ ცხელა.

მგზავრთა ნაწილი კი პრეტენზიას გამოთქვამს იმის გამო, რომ სამარშრუტო ტაქსების მძღოლები კონდიციონერს არ რთავენ და წინა წლების გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა, არც ჩართონ. თბილისელები უკვე ჩივიან ტრანსპორტში არსებულ ვითარებაზე.

„პიკის საათებში მიკროავტობუსები ისეა გადაჭედილი, ფეხზე დასადგომი ადგილიც აღარ რჩება. მიუხედავად ამისა, მძღოლები მაინც უჩერებენ ხალხს. ეს ყველაფერი ზამთარშიც ძნელი ასატანია, მაგრამ ზაფხულში, როცა ამას კონდიციონერების ჩაურთველობაც ემატება, უკვე გაუსაძლისი ხდება.

როგორც წესი, ყველა მძღოლი თავს იმართლებს და ამტკიცებს, რომ კონდიციონერი გაფუჭებულია. რომელ ტრანსპორტშიც უნდა ჩაჯდე, ყველას ერთი და იგივე ტექსტი აკერია პირზე. როგორ შეიძლება, ერთად ფუჭდებოდეს ყველგან? თანაც, ხომ იციან, რომ ზაფხული მოდის და მზად უნდა იყვნენ, უნდა შეაკეთონ“, — ამბობს ია მელაძე და მის აზრს იზიარებს უკლებლივ ყველა მგზავრი.

რაც შეეხება სანქციებს იმ მძღოლების მიმართ, რომლებიც კონდიციონერებს არ ჩართავენ, კომპანიამ მათ, შესაძლოა, ხელშეკრულებაც შეუჩეროს.

„პირველ შემთხვევაში, რამდენიმე კვირის განმავლობაში, მძღოლს ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა აეკრძალება, განმეორების შემთხვევაში, აკრძალვა რამდენიმე თვის განმავლობაში გავრცელდება, ხოლო ფაქტის მესამედ განმეორების შემდეგ, კომპანია მძღოლთან კონტრაქტს გაწყვეტს“, — აღნიშნავენ „თბილისის მიკროავტობუსში“.

ორგანიზაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ნათია მიქიაშვილი ამბობს, რომ მძღოლის მიერ ნებისმიერი შეუფერებელი ქცევის შემთხვევაში მგზავრებმა უნდა დარეკონ ცხელ ხაზზე და შეატყობინონ მიკროავტობუსის სახელმწიფო ნომერი. ყველა მიკროავტობუსში გამოკრულია ცხელი ხაზის ნომერი, მიქიაშვილი ამბობს, რომ კონდიციონერით გამოწვეულ დამატებით ხარჯებს კომპანია ფარავს და არა მძღოლები.

რაც შეეხება თბილისში უახლოესი დღეების ტემპერატურას, როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის მოკლევადიანი პროგნოზების სამმართველოს უფროსმა დოდო გვაზავამ განაცხადა, ამჟამად თბილისში ტემპერატურა დაახლოებით 31-32 გრადუსის ფარგლებშია და მომდევნო დღეებში მატებაა მოსალოდნელი. ამიტომ სავარაუდოა, რომ მძღოლებსა და მგზავრებს შორის ვითარება უფრო გამწვავდება.



ბექა დანელია

აგვისტოდან ხმაური იკრძალება, ბიზნესს ხარჯის გაწევა მოუწევს

ხმაურის **შეზღუდვასთან დაკავშირებით კანონპროექტი პრაქტიკულად მიღებულია. პარლამენტმა იგი მეორე მოსმენით უკვე მიიღო. შესაძლოა, ძალაში უკვე 15 აგვისტოდან შევიდეს და დაჯარიმების მექამიზმიც ამოქმედდეს.**

ბიზნესს, პირველ რიგში კი, რესტორნებსა და კაფე-ბარებს, რა თქმა უნდა, მოუწევთ შესაბამისი ხარჯის გაწევა, რომ ხმაური შეზღუდონ, თუმცა ეს იქნება ერთჯერადი ხარჯი, რათა ხმაურის სპეციალური დამხშობი საშუალებები შეიძინონ.

უმრავლესობის წევრი ლევან გოგიჩაიშვილი განმარტავს, რომ კანონპროექტზე მუშაობისას ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინება მოხდა.

„ჩვენ დავასრულეთ მუშაობა. პარლამენტში მსგავსი გამჭვირვალე პროცესი არ ყოფილა. ყველაზე მთავარი ამ შემთხვევაში, რასაც ჩვენ ვიცავთ, ეს ადამიანის ჯანმრთელობის უფლებაა. რაც შეეხება ბიზნეს მიმართულებას, აღნიშნული საკითხი ფუნდამენტურად შევისწავლეთ და გადაწყვეტილება სწრაფად არ მიგვიღია. სამი თვის განმავლობაში სამუშაო ჯგუფში ვიყავი, სადაც ყველა მხარე იყო წარმოდგენილი. ბიზნეს სექტორშიც ამ კანონპროექტის მომხრეებიც არიან და მოწინააღმდეგეებიც“, — აღნიშნა გოგიჩაიშვილმა.

პროექტის მიხედვით, პირველ ჯერზე ხმაურისთვის გააფრთხილებენ, ხოლო მისი განმეორების შემთხვევაში ფიზიკური პირები 150 ლარით, იურიდიული პირები კი 500 ლარით დაჯარიმდებიან. ერთი წლის განმავლობაში სამართალდარღვევის მესამედ და მის შემდეგ ყოველი მომდევნო ქმედების ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას ფიზიკური პირის — 300 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის - 1000 ლარის ოდენობით.

პროექტის მიხედვით, პოლიციამ 100 ათას ლარად უნდა შეიძინოს სპეციალური ხელსაწყოები, რომლითაც ის ქალაქებში ხმაურის დონეს გაზომავს.

კანონპროექტში არაა განსაზღვრული ხმაურის დონეები, რასაც დაჯარიმება მოჰყვება, ამისთვის კანონპროექტში აღნიშნულია, რომ მთავრობამ 1 ივლისამდე უნდა მიიღოს რეგლამენტი ხმაურის დონის შესახებ.

ევროკავშირის ქვეყნებში კი ღამის ხმაურის ზღვრული დონე ასე გამოიყურება: საფრანგეთი — 62 დეციბალი, გერმანია — 49 დეციბალი, ნიდერლანდები — 40 დეციბალი, ფინეთი — 46 დეციბალი, შვედეთი — 51 დეციბალი, უნგრეთი — 55 დეციბალი, ლატვია — 40 დეციბალი.

2018 წლის 1 აპრილამდე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს შეადგენენ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეს განიხილავს საპატრულო პოლიცია და დაჯარიმებასაც ის მოახდენს, 2018 წლის 1 აპრილიდან კი ეს ფუნქცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადაეცემა.

ბექა დანელია

სესხების ლარიზაცია იზრდება, დეპოზიტების — მცირდება

2017 წლის 26 ივნისს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ეროვნული ვალუტის ლარში გაცემული სესხების რაოდენობა იმატებს, რაც ხელისუფლების მიერ ლარიზაციის პროექტის განხორციელებისა და 100 000 ლარამდე კრედიტის ლარში აღების ვალდებულების ლოგიკური შედეგია. თუმცა იგივე სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამან ვერ გაზარდა ლარისადმი საზოგადოების ნდობა იმდენად, რომ მოსახლეობამ ანაბრების შენახვა ლარში გადაწყვიტოს.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა 2017 წლის მაისში, წინა თვესთან შედარებით, 172.3 მლნ ლარით (0.9 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე — 1.3 პროცენტით) და მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის 18.7 მლრდ ლარი შეადგინა. ამავე ხანებში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 157.3 მლნ ლარით (2.1 პროცენტით), ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 15.0 მლნ ლარით (0.1 პროცენტით) გაიზარდა.

რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2017 წლის მაისის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 2.2 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით, 0.9 პროცენტით მეტი), ხოლო უცხოური ვალუტით 6.1 მლრდ ლარის (0.2 პროცენტით მეტი) მოცულობის სესხი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 0.8 პროცენტით მეტი).

2017 წლის მაისის განმავლობაში 1.4 პროცენტით, ანუ 127.6 მლნ ლარით, გაიზარდა რეზიდენტი ფიზიკური პირებისა და კრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის 9.6 მლრდ ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტმა 40.10 პროცენტი შეადგინა. პირველი მაისის მდგომარეობასთან შედარებით, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, მთლიანი სესხების ლარიზაცია 0.34 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, განსხვავებული ტენდენციაა დეპოზიტების ლარიზაციის მიმართულებით. მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის დეპოზიტების ლარიზაციის კოეფიციენტმა 31.42 პროცენტი შეადგინა. პირველი მაისის მდგომარეობასთან შედარებით, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, დეპოზიტების ლარიზაცია 0.05 პროცენტული პუნქტით შემცირდა.უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 86.0 პროცენტი, ხოლო ევროს წილმა 11.4 პროცენტი შეადგინა.

ეს ტენდენცია ნარჩუნდება, იმის მიუხედავად, რომ უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე პროცენტი მინიმალურია: ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 4.9 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 8.6 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე — 3.2 პროცენტი.

ამასთან, საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2017 წლის პირველი ივნისისათვის 16.4 მლრდ ლარს მიაღწია, რაც 173.4 მლნ ლარით, ანუ 1.1 პროცენტით მეტია პირველი მაისისათვის არსებულ მაჩვენებელზე (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე, 1.5 პროცენტით მეტი). მაისში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა ვადიანი დეპოზიტების ზრდას 49.7 მლნ ლარით, ანუ 0.6 პროცენტით, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები გაიზარდა 123.6 მლნ ლარით, ანუ 1.7 პროცენტით.

ნინო ევგენიძე

ეცნობიან მთიანი აჭარის ტურისტულ მარშრუტებს

მთიანი **აჭარის ტურისტული მარშრუტების პოპულარიზაციის მიზნით ინფოტურები გრძელდება. აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ ტურისტულ სააგენტოებს ამჯერად ხიხანის სათავგადასავლო ტურისტულ მარშრუტზე უმასპინძლა. ორდღიანი გაცნობითი ტურის ფარგლებში 15 ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელმა დ გიდმა მარშრუტზე არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობები, კვების ობიექტები და საოჯახო-სასტუმრო სახლები მოინახულეს. მათ შორის შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი, სხალთის მონასტერი, ფურტიოს თაღოვანი ხიდი, ციხისყელი და ვარდციხე. ინფოტურის კულმინაციას წარმოადგენდა მეცამეტე საუკუნის ხიხანის ციხის დალაშქვრა, რომელიც ზღვის დონიდან 2220 მეტრზე მდებარეობს. ციხე ხიხანის ხეობის მთავარი ტურისტული ღირსშესანიშნაობაა.**

აჭარის ტურისტული პროდუქტების სააგენტომ მთიანი აჭარის მარშრუტებზე 5-მდე ინფოტური ჩაატარა. წლის ბოლომდე კი ჯამში 15 ტურის ჩატარება იგეგმება. უახლოესი ტური დღეს, მაჭახელას ეროვნულ პარკში მთავარანგელოზის ბილიკზე ჩატარდება.

მოქალაქის მწვავე პოზიცია

გულმოსული კაცის აზრები

ბატონო პრემიერო, კიდევ ერთხელ მოვითხოვ, დამიბრუნოთ ჩემი ვალი, რომელიც მიცემული მაქვს სახელმწიფო სესხის სახით ხელისუფლებაზე. 14 წელია, რაც მისი გადახდის ვადა დადგა. მე კი დღესაც ექიმისა და წამლის გარეშე ვრჩები მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი თანხა მიტაცებულია ჩემი ნანატრი ხელისუფლების მიერ, ხელისუფლებისა, რომელიც ქვეყნის ღალატსაც კი არ თაკილობს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისთვის, ამ ფონზე რაღა ვიქნები მე — მოხუცი, უპატრონო კაცი, რომელიც თავის დროზე სხვებს პატრონობდა.

დღეს თქვენი შესრულებით საქართველოში ყვავის სისტემური დანაშაული, დანაშაული ყოვლისმომცველი და განვითარებული სამ იერარქიულ დონეზე — სახელისუფლებო, საჩინოვნიკო და სამოქალაქო დონეზე, ასეთი რამ საქართველოს არ ახსოვს თავისი არსებობის 3500 წლის მანძილზე. ამ თემაზე ჩემს ამის წინა განცხადებაშიც გწერდით.

ბატონო პრემიერო, თქვენ განსაკუთრებული წარმატებით დემოკრატიის უმაღლეს საერთაშორისო შეხვედრებზე, სადაც გამოდიხართ ხოლმე, მიმართავთ რუსეთის მთავრობას: პატივი სცეს შეთანხმებას, იმ ფონზე, როცა ქვეყნის შიგნით არამც თუ შეთანხმების პატივისცემა, რაც ჩადებულია საერთოდ აღიარებულ სახელმწიფო ობლიგაციების სტატუსში სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის არსებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, არამედ კანონის ნულოვანი მორჩილებით ახორციელებთ ძალადობას, როცა ჯერ ერთი, ბოლო ვადად ვალდებულების შესრულებისა დადგენილი გაქვთ 2030 წელი (ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ამ ვალდებულებას თქვენ აღიარებთ) რისი გადავადების უფლება თქვენ არ გაქვთ და მეორე, ამ ობლიგაციების განაღდება ხდება შერჩევით, ორგანული კანონის 69-ე მუხლის თანახმად, რისთვისაც გამოიყოფა თანხები ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სააკაშვილმა ეს თანხები გასცა თავის ფავორიტებზე, მაია ნადირაძეზე, ბესო ჯუღელზე, გივია თარგამაძეზე და მრავალი სხვაზე, ვინ ეშმაკია თქვენს მიერ შერჩეული ბენეფიციარები, თუ არა ასევე უმსგავსო თქვენი ფავორიტები! წინააღმდეგ შემთხვევაში ვინ შეიძლება იდგეს 86 წლის დაავადებული, ქვეყნის წინაშე 47-წლიანი საქმიანი სამუშაო სტაჟის მქონეზე წინ? მე თქვენ ბრალს გდებთ სისხლის სამართლის დანაშაულში სსსკ 332, 333 მუხლებით და სულ ცოტა ხანში დადგება დრო, როცა ეს საქმე ძალას შეიძენს და გარდა საკუთარი ჯიბიდან კონკრეტული თანხის გადახდისა, დაგეკისრებათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ თქვენ მიერ უსასრულოდ განხორციელებული ქმედების გამო, რაც გამოიხატება თქვენი ჩინოვნიკების ასტრონომიული ხელფასების, დანამატების, პრემიების, ძვირად ღირებული მანქანების და საერთოდ სახელისუფლებო ფუფუნებისათვის, სწორედ რომ ჩემისთანების ჯიბიდან წართმეული თანხებით და მათთან ნულოვანი კომუნიკაციით.

ეს ყველაფერი ხორციელდება იმ ფონზე, რომ გაეროს მონაცემებით საქართველო მომაკვდავი ერების სიაშია, თქვენ კი დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად, იმის ნაცვლად, რომ ოფლს ღვრიდეთ მცირედით მაინც ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. თქვენ, როგორც სარეცხ მანქანაში, ისე წურავთ ამ პირქვე დამხობილ, გაუბედურებულ მოსახლეობას. საყოველთაო დაზღვევის პირობებში უბნის ექიმ სპეციალისტთან ვიზიტი გახდა ფასიანი, მინიმუმ 35 ლარი, ექოსკოპია 51 ლარი, წამლებს ცეცხლი ეკიდება, ასევე ძვირდება კომუნალური მომსახურება — გაზი, დენი, წყალი და, ვინ იცის, კიდევ რა. ბაზარსაც ცეცხლი ეკიდება, იზრდება საკაბელო ტელევიზიების გადასახადი, აბა, თუ შეგიძლიათ, მოიყვანოთ თუნდაც ერთი პოზიტიური ფაქტი. ყველაფერი ეს ცალსახად მიუთითებს, რომ ხელისუფლება საკუთარი ფაშვის გავსებისთვის პირდაპირ ქვეყნის უმძიმეს ღალატს ახორციელებს და თუ ხალხმა სასაწრაფოდ რაიმე რადიკალური არ იღონა, მალე საერთოდ გვიან იქნება ქვეყნის გადარჩენის მცდელობა, აქედან გამომდინარე, გარდა ზემოთ ნახსენები მუხლებისა, თქვენი განმსჯელია სსსკ 307, 309, 318 მუხლები.

გულის ამრევია უსასრულო შეუთავსებლობა სახელისუფლო შტოებს შორის ვერა და ვერ იქნა მიღწეული კონსესუსი ამ უქნარა ინსტიტუტებს შორის, რაც ასევე ნეგატიურად მოქმედებს ხალხის ცხოვრებაზე, ფრიდომ ჰაუსის კვლევის შედეგად საქართველოს უნივერსიტეტებს რეიტინგში წინ უსწრებენ სრულად აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის უნივერსიტეტები. სასკოლო განათლება ხომ კომედიურ სახეს იძენს, სატირალი რომ არ იყოს. ეს ყველაფერი ისეთი ჭეშმარიტებაა და იმდენად დამღუპველი, რომ ვერ შეედრება მსოფლიოს თუნდაც ყველაზე დაცემული ქვეყნის სინამდვილე.

საქართველოში არსებულ პრობლემებს ვერ შეედრება მსოფლიოს ნებისმიერი პროტესტანტი ქვეყნის პრობლემები, იქ მოსახლეობა აპროტესტებს მცირე გადახვევებს სოციალურ და სამართლებრივ სფეროებში, საქართველოში კი ყველაფერი ეს წარმოჩენილია უკიდურესად მძიმე ფორმებში. ხალხი გმინავს, ხელისუფლება ზეიმობს საკუთარ დაუსჯელობას, ყაჩაღობას და ქვეყნის ღალატის იმ მასშტაბებს, რის შედეგადაც ნებისმიერი ქვეყანა იღუპება. ასე იყო ფარაონების ეგვიპტეში, როცა ეს ქვეყანა განიხილებოდა ერთ-ერთი უძლიერეს, ანგარიშგასაწევ ქვეყნად მსოფლიო თანაცხოვრებაში. ასე მოუვიდა ახლო აღმოსავლეთის მარგალიტ ქვეყანას ბაბილონს. საქართველო მათთან შედარებით კურდღელია სიძლიერის თვალსაზრისით, ხოლო ყაჩაღობით და ძალადობით ლომის ძალის მქონე. ეს არ არის თითიდან გამოწოვილი, ეს რეალური მოვლენაა და აკი ემხობა კიდეც ეს ლამაზი ქვეყანა თავისი საყოველთაოდ ცნობილი ტოლერანტული ერით, ხელისუფალნი კი, მოსალოდნელი კრახის შემთხვევაში, ნაძარცვ ფულთან ერთად ვირთხებივით გაიქცევიან საქართველოდან. ამ მანქურთებს ხომ არაფერი ეროვნული და მამულიშვილური არ გააჩნიათ.

ნატოს მოწოდებაა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაო. იქნებ ამიხსნათ, რას ნიშნავს ეს „დემოკრატიული ინსტიტუტები“, ადამიანის და მისი საკუთრების უფლებების დაცვას თუ მათ დაყაჩაღებას.

ირაკლი კობახიძის განცხადება — დემოკრატია ადამიანის უფლება, კანონის უზენაესობის და ადამიანის ღირსების პატივისცემაა.

ეს ყველაფერი სიცრუეა და ამ საერთაშორისო ინსტიტუტების თვალში ნაცრის შეყრა.

თქვენ ვერ გიშველით საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერა, თქვენი განმსჯელი საქართველო და ქართველი ხალხია, რომელიც ასე უზნეოდ დაღაჩაღეთ. დღეს ნებისმიერი მიმართულებით თქვენი დანაშაულებრივი ქმედებები აჟიტირებულია აბსოლუტურად პრესის ყველა საშუალებით ბეჭდვითი იქნება თუ ელექტრო, ისეთი სიყრუე რა გჭირთ, რომ ან არ კითხულობთ ან ტელევიზორს არ უყურებთ.

ამას წინათ ჩემი ახლობელი ბელგიაში იყო შვილთან სტუმრად. პირდაპირ საოცრებაა: ოჯახი, რომელსაც 5 წელი ლტოლვილის სტატუსი ვერ აუღია, ჩემზე ათჯერ უკეთ ცხოვრობს ბელგიაში, ვიდრე მე, ძირძველი ღვაწლმოსილი ჭირისუფალი საქართველოს მოქალაქე ჩემს სამშობლოში, არადა ამ ოჯახს ლტოლვილის სტატუსზე იმ მიზეზით უარს ეუბნებიან, რომ საქართველოში ყვავის დემოკრატია, არის ცხოვრების უმაღლესი დონე, რომ დაცულია კანონის უზენაესობა და ვინ მოთვლის, კიდევ რა. ეს გახლავთ სწორედ ამ ხელისუფლების პოლიტიკა, როცა საერთაშორისო უმაღლეს ტრიბუნებს აბინძურებენ სიცრუითა და სიყალბით. აბა მითხარით, რომელი ერთი სიკეთეა (აქ ჩამოთვლილი) დღეს საქართველოში დიახ ეს სიკეთე არის ერთი მუჭა მანქურთი ჩინოვნიკებისათვის, კრიმინალი ხელისუფლების წყალობით.

ხალხო გაიღვიძეთ, განკითხვის ჟამი დადგა, თუ დღეს არ მივიღეთ უკიდურესად რადიკალური ზომები, ხვალ გვიანი იქნება. მე არ ვიცი, ქვეყნის ჭირისუფლად მოხუცს რისი უფლება გამაჩნია, მაგრამ თუ სამოქალაქო სექტორი რამეს წარმოვადგეთ, მოვუწოდებ ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებს, იურისტებს, საზოგადო მოღვაწეებს ქვეყნის ჭკვიან გულშემატკივრებს, კერძოდ, ბატონებს ბიძინა სავანელს, სოსო ცისკარიშვილს, მინდია უგრეხელიძეს და სხვებს, შექმნან უხუცესთა საბჭო ღვაწლმოსილი და ჭკვიანი ხანდაზმული ადამიანებისაგან და მიიღონ გადაწყვეტილება, სასწრაფოდ დაინიშნოს ქვეყნის საყოველთაო გამოკითხვა (პლებისციტი), სადაც დადგება საკითხი, „უნდა თუ არა ქართველ ხალხს ნაცმოძრაობის აკრძალვა თავის მეტასტაზებთან ერთად“ და მეორე, „უნდა თუ არა ხალხს, შეეზღუდოს უფლებამოსილება უმრავლესობას?“:

უკვე ვეღარ ავუვლი გვერდს ბიძინა ივანიშვილის ფენომენს.

მოიძიეთ ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერთა სიაში ქართლოს ზაქარეიშვილი და ნახავთ, რამდენჯერ და რა ფორმებით გამოხატავდა ეს პიროვნება ივანიშვილის მხარდაჭერას და რა მიიღო პასუხად.

ქართლოს ზაქარეიშვილი

P.S. იან კელი გასაძევებელია საქართველოდან. ის საქართველოში ამერიკის ელჩი კი არა შემოგზავნილი პროვოკატორია, აბა რა ჰქვია ელჩის განცხადებას „მეზობელი ქვეყნის შეფასებით თქვენ ლეგიტიმაცია არ გაგაჩნიათ“, სულ მცირედით მაინც რომ იცოდეს ისტორია ქვეყნისა, სადაც ის დღეს ელჩია, რომ საქართველო ითვლის თავისი არსებობის 35 საუკუნეს, მაშინ, როცა ამ ელჩის მიერ დასახელებული მეზობელი სულ 12 საუკუნისაა და ის ქვეყანა, რომელსაც ეს ელჩი წარმოადგენს საქართველოში, საერთოდ არ არსებობდა ბუნებაში. და კიდევ არსებობს გამოთქმა: „Когда другие бродячую жизнь вели, грузины эвангелию переводили“

მე ვერ წარმომიდგენია ელჩი, რომელსაც მცირედი ისტორიული ცოდნაც კი არ გააჩნია ქვეყნისა, სადაც ის მსახურობს.

შორს ასეთი ელჩი საქართველოდან!

ძ. ზ.

როგორ იმოძრავებს ტრანსპორტი ეროვნული გამოცდების დღეებში?!

თბილისის მერია ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით 3-დან 27 ივლისის ჩათვლით 4 სპეციალურ დროებით მარშრუტს დააწესებს. მერიის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ავტობუსები მგზავრებს სტანდარტული ტარიფით — 50 თეთრად მოემსახურებიან. დროებით მარშრუტებზე მუნიციპალური ტრანსპორტი შემდეგი სქემით იმოძრავებს:

მეტრო „ახმეტელის თეატრი“ — 175-ე საჯარო სკოლა. მოძრაობას დაიწყებს გობრონიძის ქუჩიდან, მოუხვევს დუმბაძის გამზირზე და მგზავრებს მუხიანის მე-3 მჰრ-ში 175-ე საჯარო სკოლასთან მიიყვანს. ავტობუსი უკუმიმართულებითაც იგივე მარშრუტს გაივლის.

მეტრო „ახმეტელის თეატრი“ — 39, 173 და 177-ე საჯარო სკოლები. მოძრაობას დაიწყებს ხიზანიშვილის ქუჩიდან, მარჯვნივ შეუხვევს ნანეიშვილის ქუჩაზე, გაივლის 39-ე და 173-ე საჯარო სკოლებს და კეცხოველის ქუჩით 177-ე საჯარო სკოლასთან მივა. ავტობუსი მეტრო „ახმეტელთან“ ნანეიშვილისა და ბოჭორიშვილის ქუჩების გავლით დაბრუნდება.

მეტრო „ვარკეთილი“ — 117-ე საჯარო სკოლა. ავტობუსი გაივლის ჯავახეთის ქუჩას, მობრუნდება „ვარკეთილის ხიდეებამდე“, მარჯვნივ შეუხვევს შუამთის ქუჩაზე და მოძრობას 117-ე საჯარო სკოლასთან დაასრულებს. უკუმიმართულებით კი, შუამთის, კალოუბნისა და ჯავახეთის ქუჩების გავლით კვლავ მეტრო „ვარკეთილთან“ დაბრუნდება.

მეტრო „სამგორის“ ზედა გასასვლელი - 103-ე საჯარო სკოლა. მოძრაობას მეტრო „სამგორის“ მიმდებარედ კახეთის გზატკეცილიდან დაიწყებს, შეუხვევს კაკაბეთის ქუჩაზე და მგზავრებს ყვარლის მოედანზე 103-ე საჯარო სკოლასთან მიიყვანს. უკუმიმართულებით ავტობუსი კაკაბეთისა და რამიშვილის ქუჩების გავლით კახეთის გზატკეცილზე დაბრუნდება და მოძრაობას მეტრო „სამგორის“ ზედა გასასვლელთან დაასრულებს.

რატომ უთხრა თბილისმა პენტაგონს უარი ძველი რუსული იარაღის მიყიდვაზე?

„კორუფციის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და პენტაგონს შორის გამართულ მოლაპარაკებებზე, რომლის მიხედვით, აშშ-ის სამხედრო უწყება საქართველოსგან საბჭოური წარმოების იარაღს შეიძენდა და მას სირიის ოპოზიციას გადასცემდა. „კომერსანტის“ მონაცემებით, თბილისმა უარი განაცხადა იარაღის მიყიდვაზე შუამავალი კომპანია Alliant techsystems operations-სადმი იმ გარანტიის მიღებამდე, რომ გაყიდული იარაღი ქურთი რაზმების ხელში არ მოხვდებოდა. ასეთ შემთხვევაში საქართველოსთვის ძალიან დიდი რისკი იყო, რომ თურქეთთან ურთიერთობა გაუარესდებოდა. თუმცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ ინფორმაცია სირიისთვის იარაღის მიწოდების მიზნით გამართული მოლაპარაკების შესახებ „უსაფუძვლო დეზინფორმაციაა“, — ნათქვამია რუსულ გამოცემა „Коммерсантъ“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას:

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და პენტაგონს შორის გამართული მოლაპარაკების შესახებ მასალა პირველმა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა გაავრცელა, რომელიც ახლოს დგას ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ წრეებთან. ტელეარხისადმი მიცემულ ინტერვიუში „კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის კვლევის“ პროექტის ხელმძღვანელმა დეივ ბლოსმა განაცხადა, რომ იგი დიდი ხანია, იკვლევს პენტაგონის მიერ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საბჭოური იარაღის შესყიდვის საკითხებს. მისი თქმით, ეს იარაღი შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედ სამხედრო დაჯგუფებებს მიეწოდება, მათ შორის — სირიაშიც. დეივ ბლოსმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკების დროს იხილებოდა საკითხი საქართველოში თითქმის ორი მილიონი დოლარის იარაღის შესყიდვის თაობაზე. ამ გარიგების დამადასტურებელი დოკუმენტები პენტაგონის ვებ-გვერდზე იყო გამოქვეყნებული, **„მაგრამ მას შემდეგ, რაც მე საკითხით დავინტერესდი და ვაშინგტონში შეკითხვა გავგზავნე, საიტიდან დოკუმენტები გაქრა“,** — თქვა ინტერვიუში დეივ ბლოსმა.

„კომერსანტთან“ საუბარში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო თოლორდავამ ტელეარხ „რუსთავი-2“-ის მიერ გავრცელებულ მასალას „უსაფუძვლო დეზინფორმაცია“ უწოდა და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის გამოწვევად მიიჩნია. ამასთან, თავდაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის „დელტას“ დირექტორმა უჩა ძოძუაშვილმა „კომერსანტს“ უთხრა, რომ მისი ორგანიზაცია მართლაც აწარმოებს ინტენსიურ მოლაპარაკებას ამერიკელ კოლეგებთან ქართული თანამედროვე იარაღის გაყიდვის თაობაზე, მაგრამ არა სირიის ოპოზიციისათვის, არამედ თვითონ აშშ-ის არმიისათვის.

რაც შეეხება „საბჭოურ იარაღს“, რომელიც ვითომდა სირიელი ოპოზიციისათვის იყო განკუთვნილი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ამის თაობაზე სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც კატეგორიულადაა უარყოფილი კომპანია Alliant techsystems „Коммерсантъ“-სთან თითქოსდა დადებული კონტრაქტის თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ კომპანიამ არ წარმოადგინა იარაღის „საბოლოო მოსარგებლის სერტიფიკატი“, რის გარეშეც იარაღის ექსპორტი საქართველოდან აკრძალულია. „კომერსანტის“ მონაცემებით, მხედველობაშია ის, რომ თბილისმა ვერ მიიღო იმის გარანტია — ჩაუვარდებოდა თუ არა იარაღი ხელში სირიაში მოქმედ ქურთთა დაჯგუფების მებრძოლებს. თუ მოვლენები ასეთი სცენარით განვითარდებოდა, ეს გამოიწვევდა მეზობელი თურქეთის მწვავე გაღიზიანებას, ანკარასთან ურთიერთობის გაურესების გარისკვა საქართველოს ხელისუფლებას არ სურს აშშ-სთან პარტნიორობის გათვალისწინებითაც კი.

ის რომ, სწორედ „თურქულ-ქურთული“ საკითხი გახდა გარიგების ჩაშლისა და თბილისის მხრიდან ძველი იარაღის გაყიდვის კონტრაქტის დადებაზე უარის მიზეზი, „კომერსანტთან“ საუბრისას დიპლომატიური აკადემიის ექსრექტორი იოსებ ცინცაძეც ვარაუდობს: „ცხადია, როცა თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ერდოღანი გაიგებდა, რომ საქართველოსგან გატანილი იარაღი, გინდაც შუამავლის მეშვეობით, ქურთების ხელში მოხვდა, იგი ძალიან გაბრაზდებოდა“. ამასთან, ექსპერტის თქმით, ყველა შემთხვევაში ქართული არმიის რესურსები „საბჭოური იარაღის“ ექსპორტის თაობაზე მკვეთრად შეზღუდულია: „რუსებმა საქართველოდან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ძალიან ბევრი იარაღი გაიტანეს, სამხედრო ტროფეის (ნადავლის) სახით. რაც დარჩა, ის უკვე სამხედრო მიზნებისთვის გამოუსადეგარია“.

„kommersant“(რუსეთი)

უცნაური სამოთხე საბჭოთა ნანგრევებს შორის

„საბჭოთა ნანგრევებს შორის საქართველო უცნაურ კუნძულად მოჩანს. მეზობლებისაგან ეს ქვეყანა თავისი ანბანითაც განსხვავდება, რომლის მსგავსი 33 ასო მსოფლიოში არსად არ არის. საქართველოს ერთი მხრიდან რუსული ოკუპაცია ღრღნის „მცოცავი საზღვრით“, მეორე მხრიდან - თურქეთი ტერიტორიის მიერთების სურვილით, რომელიც დღეს თითქოსდა მისი საიმედო მეგობარია. საქართველოთი უკმაყოფილონი არიან სომხები და აზერბაიჯანელები, რომლებთაც ასევე ტერიტორიული ინტერესები ამოძრავებთ. მაგრამ ის, ვინც საქართველოს ახლოდან შეხედავს, პოზიტივსაც დაინახავს: თბილისს ბრიუსელთან უვიზო რეჟიმი და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს; საქართველო ჩაბმულია „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამაში; საქართველოზე გადის ევროპა-აზიის სატრანზიტო მარშრუტი, „აბრეშუმის დიდი გზის“ ახალი პროექტის მიხედვით. საქართველოში, რუსი ტურისტების არმიის გარდა, უკვე ირანელებსაც დაინახავთ: ისინი თბილისში პოპ-კონცერტებს აწყობენ, რაც მათთან, სამშობლოში აკრძალული აქვთ. ირანელები თამამად იქცევიან — აქ შეიძლება ახალგაზრდა ირანელი ქალი მინი-კაბაშიც კი ნახოთ. მაგრამ ამ 3,7 მილიონიან ქვეყანას, რომლის ტერიტორია ბავარიის ფართობის ტოლია, ევროპისაგან დახმარება მაინც სჭირდება“ — ამის შესახებ გერმანულ გამოცემა „Der Tagesspiegel“-ის მიერ გრეგორი დოტზაუერის ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაშია ნათქვამი.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას, რომელიც ავტორის საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ასახავს:

საქართველოში, კახეთში ყოფნისას ტურისტი დროსტარებას ეძლევა. მას ხიბლავს კარგი პურ-მარილი, ქვევრის ღვინო ან ჭაჭის არაყი, ბატკნის მწვადი და კავკასიის დიდებული მთები. მაგრამ ამის პარალელურად არსებობს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთი, რომლებიც 2008 წლიდან რუსული ჩექმის ქვეშ არიან მოქცეულნი; ნატო, რომელსაც ქართველები იმედით შესცქერიან, მაგრამ მისი არმია თითსაც არ ამოძრავებს საქართველოსთვის.

საქართველოს წარმატებებში წვლილი გერმანელებსაც აქვთ შეტანილი: 1844 წელს გერმანელმა ემიგრანტებმა კავკასიაში თბილისთან ახლოს კოლონია დააარსეს. გერმანელმა არქიტექტორების პროექტით თბილისში ბევრი შენობაა აგებული. გერმანელი დიპლომატი კი — გრაფი ფრიდრიხ-ვერნერ ფონ შულენბურგი, შეიძლება ითქვას, საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაციის თანაავტორია. მაგრამ ვერც ერთი სხვა გერმანელი ვერ შეედრება თავისი წვლილით მწერალს და ჟურნალისტს არტურ ლაისტს, რომელიც თბილისის დიდუბის პანთეონშია დაკრძალული. მან 1892 წელს თავისი მშობლიური ქალაქი ბრესლაუ დატოვა და სამუდამოდ საქართველოში ცხოვრება არჩია. არტურ ლაისტი მოხიბლული იყო ქართველი ხალხის თვისებებით და საქართველოს ბუნებით: „მოგზაური, რომელიც შავ ზღვაზე ბათუმს მიადგება, თავს სამოთხეში იგრძნობს“. არტურ ლაისტი წლების განმავლობაში იყო საქართველოს გერმანულენოვანი გაზეთის „კაუკაზიშე პოსტ“-ის მთავარი რედაქტორი, მანვე თარგმნა პირველად გერმანულ ენაზე შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

„თბილისიდან ერთი საათის სავალზე მდებარეობს გორი, სადაც Iosseb Bessarionis dse Dzhugashvili — იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი დაიბადა, შემდგომში „სტალინად“ წოდებული. შენობა დაარსების დღიდან — 1937 წლიდან პრაქტიკულად არ შეცვლილა. მუზეუმის მიხედვით, იოსებს სტალინი პოზიტიურ, გენიალურ ადამიანად არის წარმოდგენილი, რომელიც სემინარიის მოსწავლიდან და ციმბირში არაერთხელ გადასახლებული ადამიანიდან სახელმწიფოს მეთაურად იქცა“.

* * *

პუბლიკაციაში აღწერილია ძველი თბილისის ქუჩები და შენობები. აღნიშნულია, რომ სიძველეების დასაცავად ხშირად გამართული საპროტესტო აქციები იმ პროექტების წინააღმდეგ, რომლებიც თბილისის ტრადიციულ არქიტექტურას არღვევს. ამჟამად მიმდინარეობს როგორც თანამედროვე სასტუმროების მშენებლობა, ასევე ძველი შენობების მოდერნიზება დღევანდელი ტექნოლოგიების დახმარებით („კლასიკური საბჭოური, სტალინის დროინდელი პროექტით აგებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის, ანუ „იმელ“-ის შენობა სასტუმროდ გადაკეთდა). ამასთან, ავტორი მიუთითებს, რომ თბილისისათვის ძალიან უცხოდ მოჩანს ცათამბჯენები, განსაკუთრებით კი ექვსვარსკვლავიანი სასტუმრო The Biltmore. სტატიაში საუბარია აგრეთვე იმ უცხოურ ინვესტიციებზე, რომლებიც სასტუმროების ბიზნესშია ჩადებული.

პუბლიკაციის დასასრულს ავტორი საქართველოს დედაქალაქის სხვა თანამედროვე პროექტებზეც წერს: თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა, რუსთაველის გამზირის დასაწყისში — იქ, სადაც ძველი საბჭოთა სავაჭრო სახლის, ანუ უნივერმაღი „თბილისი“ იდგა. ეს ყველაფერი ყველაზე მდიდარი ქართველის, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით კეთდება. იგი პრემიერ-მინისტრი იყო 2012-2013 წლებში, მისი დაარსებულია „ქართული ოცნება“, რომელიც დღეს ქვეყნის მმართველი პარტიაა. სექტემბერში თბილისში სუპერთანამედროვე „გალერეაც“ გაიხსნება...

„Der Tagesspiegel“ (გერმანია)



„ᲐᲠᲢᲐᲜᲣᲯᲘᲡ“ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ



„ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲜᲗᲝᲚᲝ�გᲘᲐ“

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ წიგნი აჩუქა ქართველ მკითხველს გამომცემლობა „არტანუჯმა“ — **მედეა ზაალიშვილის „თარგმანები“**. მიუხედავად ამ მოკრძალებული სათაურისა, წიგნში ვრცლადაა თავმოყრილი ბრიტანელი და ამერიკელი პოეტების შემოქმედება. შეიძლება ითქვას, ინგლისურენოვანი პოეზიის ანთოლოგია ტომას ვაიეტის სონეტებიდან ტომას ელიოტამდე. წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ — **„მედეა ზაალიშვილის სახელი პირველად ბატონ ნიკო ყიასაშვილისგან გავიგონე. შექსპირის ხუთტომეულის გამოცემაზე გვეუბნებოდა მე და როსტომს (პაატა ჩხეიძე და როსტომ ჩხეიძე. — რედ.) და მედეა ზაალიშვილი ეიმედებოდა შექსპირის მთარგმნელთა შორის. მოგვიანებით, ქალბატონი მედეას მიერ თარგმნილი „ტიტუს ანდრონიკუსი“ წავიკითხე და არათუ წავიკითხე, არამედ ორიგინალის ტექსტსაც შევადარე, მივხვდი, რასაც გულისხმობდა ბატონი ნიკო“.**

რით განსხვავდება მედეა ზაალიშვილი სხვა მთარგმნელთაგან? უბრალოდ იგი თარგმნის ელიოტს, როგორ სტილშიც წერდა ელიოტი და თარგმნის ედგარ პოს ედგარპოსეულად და არა, მედეა ზაალიშვილის სტილით, რომელიც მართლაც შეუდარებელია. ამით იცავს ქალბატონი მედეა მთარგმნელობის დაუწერელ კანონს — არ დაუკარგოს სტილი ავტორს.

წიგნში შექსპირის სონეტებთან ერთად ნახავთ დიდი ინგლისელის პოემას „ვენერა და ადონისი“, რობერტ ბერნსისა და პერსი ბიშ შელის პოეზიას. ამერიკელ პოეტთაგან ედგარ ალან პოსა და ემილი დიკინსონს, უიტმენის პოპულარულ „ო, კაპიტანო!“ ინგლისურენოვან პოეტთა შორის ყველაზე ვრცლადაა წარმოდგენილი 1923 წლის ნობელიანტი უილიამ ბატლერ იეიტსი.

წიგნის რედაქტორი გახლავთ პაატა ჩხეიძე. ქალბატონ მედეა ზაალიშვილის ეს ბრიტანულ-ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგია მართლაც შესანიშნავი საჩუქარია პოეზიის მოყვარულთათვის.

120 ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲔᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

„ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, როცა იულიუს კეისარი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ კითხულობდა რომელიღაც ისტორიულ ნაწარმოებს, მოულოდნელად ტირილი დაიწყო. გაოცებულმა მეგობრებმა მიზეზი ჰკითხეს, კეისარმა უპასუხა: — როგორ გგონიათ, განა არ არის სევდის ღირსი ის, რომ ალექსანდრე ჩემს ასაკში უკვე უამრავ ხალხზე მეფობდა და მე კი იქამდე სასახელო არაფერი გამიკეთებია?“, — ეს გახლავთ ერთ-ერთი ამბავთაგანი იმ 120 ამბიდან, რომელიც გამოსაცემად მოამზადა **ნატო გორდელაძემ** გამომცემლობა „არტანუჯის“ უშესანიშნავესი სერიის **„თან საკითხავისთვის“**.

სერიის „თან საკითხავი“ გამოცემის ინიციატორი გახლავთ ბუბა კუდავა, რომლის თქმითაც, ეს პროექტი ერთგვარი გამოსავალია ამ საყოველთაო უდროობის დროს, როცა ჭეშმარიტ მკითხველს სოციალური გაჭირვებისა, დაძაბული გრაფიკისა და ცხოვრების ჩქარი ტემპის გამო უძნელდება წიგნის შეძენა და ამა თუ იმ ცნობილი პიროვნების შესახებ სასურველი რომანისა თუ მემუარული სქელტანიანი გამოცემის სრულად წაკითხვა. სწორედ ამის გამო გამომცემლობამ მკითხველს შესაძლებლობა მისცა, ცნობილ პიროვნებათა შესახებ პატარ-პატარა საინტერესო ამბები წარუდგინოს კომპაქტური წიგნების სახით, რომლებიც ილუსტრირებულია და მათი კითხვა შესაძლებელია მგზავრობის, დასვენებისა და თუნდაც, მუშაობის დროს. ეს პატარა ამბები ერთმანეთზე გადაბმული და დამოკიდებული არაა და ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, შევწყვიტოთ, ან წიგნის ნებისმიერი გვერდიდან დაიწყოთ კითხვა. ორიგინალურია არა?.. მართლაც რომ მოსახერხებელი.

პროექტის ავტორებს გადაწყვეტილი აქვთ სერიალი შეავსონ ცნობილი მხატვრების, ხელოვნებისა და მეცნიერების დარგის მოღვაწეთა ცხოვრებით, ისტორიული ფაქტებით. ამჯერად გთავაზობთ სერიალის მეორე წიგნს **„ალექსანდრე მაკედონელი — 120 ამბავი“**. პირველი კი გახლდათ გია ბუღაძის მიერ შეკრებილი **„200 ამბავი მხატვრობაზე“**, რომელიც გამომცემლობამ 2016 წელს გამოსცა.

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲚᲘ

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ და მით უმეტეს მსოფლიო აღიარება ალალბედზე არ მოდის და დაუღალავი შრომის შედეგია. მილიონობით თაყვანისმცემელი როდესაც გყავს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, შენზე უფრო მეტის გაგებას ცდილობენ. ესპანეთის ნაკრებისა და საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ ლეგენდარული ფეხბურთელი **ანდრეს ინიესტა** თავის მემუარულ წიგნს „შემოქმედს“, რომელიც მშობლებს, დას, მეუღლესა და თავის შვილებს მიუძღვნა, ასეთი სიტყვებით იწყებს — **„თუ Google-ში ანდრეს ინიესტას ჩაწერთ და იქ მოძიებულ მასალებს გაეცნობით, შეიძლება იფიქროთ, რომ ჩემზე ყველაფერი იცით. ასეა — თქვენ და ათასობით ადამიანს ჩემი ცხოვრების შესახებ ყველაფერი გეცოდინებათ, თუმცა არის ბევრი რამ, რასაც იქ ვერ იპოვით...“**.

ძვირფასო მკითხველო, მართლაც ბევრს ვერ შეიტყობთ ინიესტას შესახებ, თუ მხოლოდ ტელეეკრანებიდან ან ზემოთხსენებული „გუგლიდან“ ეცდებით, გაიგოთ ვინ არის ლეგენდარული ესპანელი. როგორ და რის ხარჯზე მიაღწია მან მსოფლიო აღიარებასა და საყოველთაო სიყვარულს. სწორედ ეს წიგნია, სადაც შეგიძლიათ გაიგოთ მის ოჯახზე, მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან ურთიერთობაზე და იმ გზაზე, რომელიც ლა მანჩაში ბეტონის სტადიონიდან „კამპ ნოუმდე“ გაიარა. ყველაფერი ჩვენთვის რომ გადმოეცა, ანდრეს ინიესტამ თანაავტორებად **მარკოს ლოპესი** და **რამონ ბესა** აიყვანა. მათი დახმარებით გადაწყვიტა, რომ მასზე მწვრთნელებს, ფეხბურთელებს და ოჯახის წევრებს ესაუბრათ, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო გუნდის „ბარსას“ კაპიტანი სხვადასხვა გარემოში, მისი ცხოვრებისა და სპორტული კარიერის სხვადასხვა პერიოდში წარმოეჩინათ.

გამომცემლობა „არტანუჯი“ ფეხბურთის მოყვარულებს გამომცემლობის თავკაცის **ზვიად კვარაცხელიას** საგამომცემლო პროექტით **„ფეხბურთელების ავტობიოგრაფიები“** ამჯერად გთავაზობთ ლეგენდარული ესპანელის ანდრეს ინიესტას მემუარულ წიგნს „შემოქმედი“, რომელიც ქართველი მკითხველისათვის ინგლისურიდან თარგმნა **ივანე ჩხიკვაძემ**.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ

�გᲘᲝᲠ�გᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად განაცხადები მიიღება შემდეგ დარგებში: ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება და პუბლიცისტიკა.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია ენიჭება ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პუბლიცისტიკის დარგში შექმნილ ნაწარმოებებს, რომლებმაც მხატვრული, პუბლიცისტური და სხვა ღირებულებების გამო, საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვეს, გამსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის მაღალი იდეალებით და წარმოადგენს შენაძენს ქართული და აფხაზური ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პუბლიცისტიკის დარგში.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია გაიცემა არა უმეტეს ოთხისა, თითოეული 3000 ლარის ოდენობით.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში კანდიდატთა წარდგენის პირობები და წესი:

ა) გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს,რომლებიც საქმიანობენ ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პუბლიცისტიკის დარგებში;

ბ) პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილ იქნეს ფიზიკური პირი მისი მოქალაქეობის მიუხედავად;

გ) პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი კანდიდატი არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი;

დ) საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაწარმოები (ნაშრომი) ძირითადად უნდა მოიცავდეს აფხაზეთის თემატიკის და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პოპულარიზაციას;

ე) საკონკურსო მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ან აფხაზურ ენებზე, ასევე, შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს უცხო ენაზე ქართული თარგმანის თანხლებით (სრული თარგმანი ან ვრცელი რეფერატი ან ანოტაცია);

ვ) ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებების წარდგენა უნდა მოხდეს დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ. ხელოვნების სხვადასხვა დარგში შექმნილი ნაწარმოებების საკონკურსოდ წარდგენა შეიძლება მას შემდეგ, რაც მათ სრულად გაეცნობა საზოგადოება კონცერტებზე, გამოფენებზე, კინოთეატრებში, მასმედიის საშუალებებით;

ზ) დაუშვებელია პრემიის მოსაპოვებლად კომისიის მიერ ერთხელ უკვე უარყოფილი ნაწარმოების (ნაშრომის) ხელმეორედ წარდგენა. პრემიის მოსაპოვებლად ავტორის განმეორებით წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ახალი ნაწარმოებით (ნაშრომით);

თ) ავტორთა ჯგუფისათვის პრემიის მინიჭებისას, პრემია ავტორთა შორის თანაბრად ნაწილდება;

ი) პირს გარდაცვალების შემდეგ პრემია შეიძლება მიენიჭოს იმ შემთხვევაში, თუ იგი პრემიაზე წარდგენილი იყო გარდაცვალებამდე ან გარადცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მისი ახალი, მანამდე უცნობი ნაწარმოები (ნაშრომი).

კონკურსზე მონაწილეობისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. წარდგინება, ანუ ნაწარმოების, ნაშრომის აღწერა-დახასიათება იმ განსაკუთრებული ღირსებების აღნიშვნით, რის გამოც ხდება მისი ავტორის გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიაზე წარდგინება. დოკუმენტს ხელს აწერს წარმდგენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

2. საკონკურსო ნაწარმოების, ნაშრომის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები, აუდიო, ვიდეო, ფოტო და სხვა მასალები ნაწარმოებზე, ნაშრომზე წარმოდგენის შესაქმნელად.

3. კანდიდატის ბიოგრაფია (CV).

4. ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პუბლიცისტიკის დარგში შექმნილი ნაწაროებები 9 ეგზემპლარად (აუდიო, ვიდეო ჩანაწერები, მუსიკალური ნაწარმოების პარტიტურა 9 ეგზემპლარად). წარმოდგენილი ნაშრომები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

5. კანდიდატის ორი ფოტოსურათი (6X9 სმ).

საკონკურსო განცხადებებისა და თანდართული მასალების მიღების ვადები

1. საკონკურსო განცხადებები და მასალები მიიღება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში 2017 წლის 30 ივნისიდან - 31 აგვისტოს ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

2. კონკურსის საბოლოო შედეგები და პრემიის ლაურეატთა სია გამოქვეყნდება 2017 წლის 23 ნოემბერს.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:

საქართველო- თბილისი 0102, უზნაძის ქ. 68,

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო,

ხელოვნების და მიმდინარე ღონისძიებების სამსახური, მე-3 სართული,

საკონტაქტო პირი: ლიანა ხურცილავა, ეკატერინა გადილია

ტელ: 599 85 54 41; 599 24 62 18.

◎ ჭიდაობა

„ბრინჯაოებით“ დაასრულეს

დორტმუნდში გრძელდება ახალგაზრდა ფალავანთა ევროპის ჩემპიონატი. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში საქართველოს წარგზავნილებმა ხუთი მედალი დაიმსახურეს. უკვე გაუწყეთ, რომ ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენებმა სამივე სინჯის თითო მედალს გამოჰკრეს ხელი. ტურნირის ფინიშზე ქართველებმა საერთო მონაგარს კიდევ ორი ბრინჯაოს ჯილდო შესძინეს. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე გორელი თეიმურაზ ვანიშვილი (50კგ) და ხარაგაულელი ზაურ ბერაძე (84კგ) ავიდნენ. მსგავსი წარმატების მიღწევა შეეძლო გუნდის გამოკვეთილ ლიდერს, მცხეთელ ზურაბ ურთაშვილს (120), თუმცა, იგი უმედლოდ დარჩა: ნახევარფინალი რუსთა მომავალ ჩემპიონ მაგომედამინ დიბიროვთან წააგო (2:2), ხოლო ბრინჯაოსთვის პაექრობა მოლდოველ სამან ჯაბრაილოვთან დათმო (6:6).

ვანიშვილმა მერვედფინალში თურქი ერთუღრულ კაჰვეჩი დაამარცხა (6:3), მერე ფრანგ არმან ელოიანს სძლია წმინდად, ნახევარფინალში 4:8 წააგო ბულგარელ მიხაილ სალიმ ნაიმთან, მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლაში კი რუსი ალიკ ხადარცევი დაჯაბნა (8:6).

ბერაძე პირველ წრეში ისვენებდა, მერვედფინალში მაკედონიელ მიხაილ ნიკოლოვს 10:0 სძლია. სამწუხაროდ, შემდეგ წრეში ასეთივე ანგარიშით თავადაც წააგო აზერბაიჯანელ ჰაჯიმურად მაგომედსაიდოვთან, ხოლო სანუგეშოში ჯერ იტალიელი გაბრიელე დორო ჩამოიშორა გზიდან (10:0), მერე სომეხ ჰოვანეს მხითარიანს 8:5 მოუგო და მესამე ადგილი დაიკავა.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები 52 ქულით მესამეზე გავიდა რუსეთისა (67) და აზერბაიჯანის (58) შემდეგ.

შაბათ-კვირას ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

ლექსო ციწცაძე

◎ დიდგორი №2

მარად საამაყო მიღწევა

1962 წლის 29 ივნისი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქართული სპორტის დიდგორია. დიახ, 55 წლის წინათ, მკათათვის სწორედ იმ მადლიან დღეს, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდმა ლომთალომ ოთარ ქორქიას თავკაცობით შუაგულ ევროპაში, კერძოდ, ჟენევაში, მადრიდის „რეალთან“ გამართულ ისტორიულ ფინალურ შეხვედრაში მართლაც რომ ძლევა საკვირველი გამოჭედა — 90:83 და სამშობლოში ჩემპიონთა თასით დაბრუნდა.

თანამემამულეთა საეტაპო მიღწევას გუშინ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში მიაგეს სათანადო პატივი, სადაც ოფიციოზთან და საზოგადოებრიობის ღირსეულ წარმომადგენლებთან ერთად ჟურნალისტები და საკალათბურთო სამყარო შეიკრიბნენ, მათ შორის მაშინდელი შვეიცარიული ტრიუმფის შემომქმედნი და მათი ოჯახის წევრები.

საიუბილეო ღონისძიების გვირგვინად დიდი გამარჯვებისადმი მიძღვნილი კრებულის წარდგინება იქცა, რომლის ავტორმა და რედაქტორმა, ნუგზარ შატაიძის პრემიის ლაურეატმა ლაშა გოდუაძემ მადლიერებით მოიხსენია სპორტის სამინისტრო (ტარიელ ხეჩიკაშვილი), ქართული სპორტის მუზეუმი (ნანა მიქაძე), კალათბურთის ფედერაცია (მიხეილ გაბრიჩიძე) და საზოგადოებრივი მაუწყებლის შესაბამისი რედაქციები (ელენე ბილიხოძე, ნოდარ ჯაფარიძე), აგრეთვე მწერალი დათო ტურაშვილი, რომელთა თანადგომითაც საშვილიშვილო პროექტის ხორცშესხმა მოხერხდა.



ჩვენი ძვირფასი კოლეგის მორიგ ნაღვაწს სიმწრით მოძიებული სატიტულო ბრძოლის რამდენიმე ფოტო (მათ შორის — ერთადერთი სათამაშო ეპიზოდი) და ოქმი ამშვენებს. რას ვიზამთ — ნახევარფინალში ცსკა-სთან ჩვენებურთა წარმატებამ ხომ ისე გააღიზიანა უფროსი ძმები, რომ დელეგაციაში კალმოსნისა და ფოტორეპორტიორისთვისაც კი არ მოინახა ადგილი.

...სიმბოლურია, რომ წლეულს თბილისის „დინამო“ სახელოვან წინამორბედთა მიერ გაკვალულ ბილიკს გაუყვება და ევროლიგაში ჩაებმება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ როცა სიკეთე იმარჯვებს



ახალკაცის ახალი სიცოცხლე

ამას წინათ გაუწყეთ, რომ ოთხწლიანი მარათონი ლოგიკურად დაგვირგვინდა და დედაქალაქის მე-9 საჯაროს სკოლას მისი წარჩინებით კურსდამთავრებულის, გამოჩენილი ქართველი საფეხბურთო მწვრთნელის ნოდარ ახალკაცის სახელი მიენიჭა.

ბუნებრივია, როგორც გვჩვევია, სახელოვანი თანამემამულის ღვაწლის სათანადოდ დასაფასებლად ათასგვარი დაბრკოლების გადალახვა დაგვჭირდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ შემოგვრჩნენ გულისხმიერებითა და კაცთმოყვარეობით გამორჩეული მამულიშვილნი, რომელთა ძალისხმევითაც ჩანაფიქრის ხორცშესხმა მოხერხდა — მეუბნებიან აღნიშნული იდეის ავტორები, სულმნათი ნოდარ ახალკაცის მეგობრები **ირაკლი (იბო) დოლიძე** და **ნიკო ცაგარეიშვილი** და განაგრძობენ:

— ეს იდეა 2013 წელს აწგანსვენებულ სერგო კუტივაძეს გავუზიარეთ, შემდეგ საქმის კურსში ნოდარის მეუღლე, ქალბატონი ნელი ჩავაყენეთ და... რატომღაც, დროებით ყველაფერი ჩაწყნარდა.

— მეორე სუნთქვა როდის გაგეხსნათ?

— მაშინ, როცა ვეტერან დინამოელთა ხელმოწერები შევაგროვეთ და განათლების მაშინდელ მინისტრ თამარ სანიკიძის სახელზე განცხადება შევიტანეთ.

— ალბათ, „ნახალოვკელთა“ აზრსაც გაეცნობოდით...

— რასაკვირველია. უპირველესად, სწორედ ნოდარის მშობლიურ სკოლას ვეწვიეთ, სადაც უფროსკლასელებმა, როგორც მშობელი, ისე დაგვიხასიათეს თავიანთი დირექტორი, მომეტებულად გულთბილი, კულტურული და განათლებული ქალბატონი მარიამ ფურცელაძე. ასეთი რეკლამის შემდეგ თავისთავად დაგვებადა მოსაზრება, დიდებული პიროვნების გაცნობა ძვირფასი ვარდების თაიგულით აღგვენიშნა.

— თქვენი თანამშრომლობა როგორ განვითარდა?

— სამწლიანმა ურთიერთობამ ძალაუნებურად გაგვახსენა უახლოესი წარსული, როცა ქალბატონი მარიამის მსგავს სამაგალითო დირექტორებსა და მასწავლებლებს ყოფილი მინისტრი, გერმანისტი პროფესორი ალექსანდრე კარტოზია ღირსების ორდენითა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით აჯილდოებდა. ამჟამად განათლების სისტემის მესვეურებს თითქოს რაღაცის ეშინიათო, არადა, დამეთანხმებით, ისინი მოწოდებულნი უნდა იყვნენ, სათანადოდ დააფასონ პროფესიონალთა შრომა. მე თუ მკითხავთ, მომავალი თაობის აღზრდის გაძღოლა უაღრესად ერუდირებულ ახალგაზრდა ქალბატონს, თბილისის საკრებულოს განათლებისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ქეთევან ჯოხაძეს უნდა მივანდოთ, რომელთანაც უფალმა გაჭიანურებული ეპოპეის დასკვნით ეტაპზე დაგვაკავშირა.

— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, მასთან ერთად მადლს მარილი ვინ მოაყარა?

— სიამოვნებით. ეს გახლავთ დედაქალაქის საკრებულოს იმ სხდომის თითოეული მონაწილე, რომელმაც ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ფეხბურთის დიდი მაესტროს ხსოვნის უკვდავყოფას. სხვათა შორის, ამ სხდომაზე დასწრების პატივი ჩვენც გვხვდა წილად ალექსანდრე ჩივაძესთან, ვაჟა ჟვანიასთან და დეპუტატ დავით ჭელიძესთან ერთად, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი იდეის წარმატებით განხორციელების საქმეში.

— და მაინც — რატომ გაიწელა ეს პროცესი ასე უსაშველოდ?

— პირდაპირ მოვჭრი — 2007 წელს სულელი სააკაშვილის მიერ გამოცემული ბრიყვული ბრძანების გამო, რომლის თანახმადაც ღვაწლმოსილი პიროვნების სახელის მისანიჭებლად მისი გარდაცვალებიდან სულ მცირე 20 წელიწადი მაინც უნდა ყოფილიყო გასული, რაც გამოიყენა კიდეც დიუსელდორფის ისტორიული მატჩის გმირების ხელმოწერით გაგზავნილ შესაბამის განცხადებაზე პასუხისას არგუმენტად ქალბატონმა თამარ სანიკიძემ. კურიოზია, რომ დღესაც იმ ბრძანებით ხელმძღვანელობენ. ვეუბნებით ქალბატონ თამარს.: შე მამაცხონებულო, 20 წლის შემდეგ კაცს მკვდარი კი არა, ცოცხალი დაავიწყდება.

— კიდევ კარგი, სასიამოვნო გამონაკლისებსაც ჰქონდა ადგილი...

— კი ბატონო. ვენაცვალეთ ჩვენთვის უცნობ ვაჟკაცს, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალს, რომელმაც ერთ საათში გამოიტანა კომისიის დადგენილება და იქაურ სტადიონს ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის რამაზ შენგელიას სახელი მიაკუთვნეს. ამ ამბავს 20 წელი არ დასჭირვებია, ქალბატონო თამარ. ასე რომ, ის სამარცხვინო ბრძანება სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს! პირდაპირ გასაკვირია, რას ელოდება ვიცე-პრემიერი, მოქმედი მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა.

და ბოლოს, დიდი მადლობა ყველას, განსაკუთრებით — თქვენი გაზეთის — „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას პრინციპული თანადგომისათვის.

ესაუბრა
გია პლატონიშვილი

◎ ფეხბურთი

ბრავისიმო, კლაუდიო!

ფეხბურთის ისტორიაში უპრეცენდენტო ფაქტადაა ჩაწერილი ბუქარესტის „სტიაუას“ მეკარის ჰელმუტ დუკადამის გმირობა, რომელმაც ჩემპიონთა თასის ფინალში „ბარსელონას“ ვარსკვლავებს ერთბაშად 4(!) პენალტი აუღო და პრესტიჟულ ჯილდოს პირველად და, ჯერჯერობით უკანასკნელად, კარპატებში მიუჩინა ადგილი.

მართალია, რუმინელის რეკორდი დღემდე ხელშეუხებელია, მაგრამ მისი ჩილელი კოლეგა კლაუდიო ბრავო, რომ იტყვიან, ძალიან მაღლა აფრინდა და სტაბილურობით, ალბათ, გადააჭარბა კიდეც. კერძოდ, სწორედ მისი ძალისხმევით მოიპოვეს ჩილელებმა ზედიზედ ორჯერ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონობა (თანაც მატჩის შემდგომ პენალტების სერიაში არგენტინელებთან ორივეჯერ ორ-ორი დარტყმა მოიგერია), ხოლო რუსეთში მიმდინარე კონფედერაციათა თასის გათამაშების ნახევარფინალში ევროპის მოქმედ ჩემპიონ პორტუგალიელებს სამივე (!) დუელი მოუგო (კვარეჟმა, მოუტინიო, ნანი) და პარტნიორები ფინალში გაიყვანა (3:0, ძირითადი და დამატებითი დრო — 0:0).

გიორგი ფოთაძე

წმინდა მოწამე შალვა ახალციხელი (1227)

30 ივნისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ახალციხელ გამორჩეულ რაინდს და მეომარს შალვას. ის თამარ მეფის მხედრობაში იბრძოდა.

...ცნობილია, რომ დიდმა თამარ მეფემ შალვა ახალციხელი მთავრად დანიშნა... შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ მან ხალიფას დროშა წამოიღო ნიშნად ქრისტიანობის უძლეველობისა და ხახულის ღვთისმშობელს შესწირა სხვა უამრავ ნადავლთან ერთად. ასევე, თამარ მეფის ბრძანებით ბასიანის ბრძოლაში (1204 წ.) ქართველთა ძლევამოსილ მხედრობას მანდატურთუხუცესი შალვა წინამძღოლობდა ძმასთან, ივანე ახალციხელთან ერთად.

წმინდა თამარ მეფის ასულის, რუსუდანის მეფობის დროს ჯალალედინი შემოიჭრა საქართველოში უთვალავ ლაშქართან ერთად. რუსუდანმა ქუდზე კაცი იხმო და საომრად შეკრებილ ქართველებს მთავრად მოხუცებული იოანე ათაბაგი დაუდგინა. მან კი მოწინავე ლაშქრის მეთაურობა სიმამაცითა და სიმხნევით გამორჩეულ ორ ძმას, შალვა და იოანე ახალციხელებს დაავალა, თვითონ კი ძირითად ნაწილთან ერთად დარჩა გადამწყვეტი იერიშის მისატანად.

გახარებულმა ჯალალედინმა საქვეყნოდ განთქმული მეომრის ტყვედ ჩაგდებით უფრო გაიხარა და „ბევრ რამეს“ დაჰპირდა რჯულის გამოცვლის სანაცვლოდ... მაგრამ მან არ უარყო ჭეშმარიტი ღმერთი. ქართული სიმღერა „შავლეგო“ განადიდებს წმინდანის ვაჟკაცობასა და ღვაწლს.

გიული ლიპარტია

დააკავეს ყალბი ფულის გამსაღებელი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოსამართლის განჩინების საფუძველზე ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებული ფიზიკურ პირზე ასაღებდა ყალბ 100 აშშდოლარიან კუპიურებს, საგამოძიებო სამსახურმა ყალბი ფული ნივთიერი მტკიცებულების სახით ამოიღო.

ჩადენილი დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 4-დან 7 წლამდე.

სანთელი

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებლის და აქტიური წევრის, ღვაწლმოსილი მეცნიერის, პროფესორ

ფარნაოზ ლომაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.
პანაშვიდი: 30 VI, 17 სთ; დაკრძალვა: 1 VII, 14 სთ;
მისამართი: თბილისი, ყაზბეგის გამზ. 29ა, IV სადარბაზო.

არაგვში 12 წლის ბავშვი დაიხრჩო

მდინარე არაგვში 12 წლის გოგონა დაიხრჩო.

გარდაცვლილი წეროვნის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი მშენებლობის უფლებით. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

მართლმადიდებელი ქვეყნების პარლამენტართა გენერალური ასამბლეა საქართველოში ჩატარდება

მართლმადიდებელი ქვეყნების პარლამენტართა გენერალური ასამბლეა 2019 წელს საქართველოში პირველად ჩატარდება.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ზაქარია ქუცნაშვილის ინფორმაციით, საქართველოს დელეგაციის მოთხოვნით, რომში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 2019 წელს საქართველოში პირველად ჩატარდეს მართლმადიდებელი ქვეყნების პარლამენტართა გენერალური ასამბლეა.

„მართლმადიდებელთა საპარლამენტო ასამბლეა, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, დაფუძნდა 24 წლის წინათ საბერძნეთში, ჰალკიდაში. მისი მიზანია მართლმადიდებლობის, როგორც ევროპული რელიგიის, ღირებულებების პოპულარიზაცია მთელ მსოფლიოში. მასში გაწევრიანებული არის ევროპის, აზიის, აფრიკის და ამერიკის კონტინენტის 25 სახელმწიფო. გენერალური ასამბლეა იმართება წელიწადში ერთხელ, სადაც მონაწილეობენ მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელი პარლამენტარები და განიხილება ყველაზე აქტუალური საკითხები. საქართველოში მისი ჩატარება ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც უძველესი მართლმადიდებელი ქვეყნის პოპულარიზაციას, მათ შორის, რელიგიური ტურიზმის განვითარების კუთხით. ასევე მოგვცემს ახალ პლატფორმას ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემების გადასაწყვეტად“, – აცხადებენ საქართველოს პარლამენტში.

გეო ჰოლდინგი

გადავიხდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:

ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811

geo-holding.net

სამუშაო საათები:

ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე

შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

ტაქსების რეგულირება მალე დაიწყება

თბილისის მერიაში ტაქსების სფეროს რეგულაციებზე ინტენსიურად საუბრობენ. სავარაუდოდ, რამდენიმე თვეში ცვლილებების პირველი ეტაპი დაიწყება. დედაქალაქის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, არა მარტო თბილისში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით ტაქსების ლიცენზირება აუცილებელია, თუმცა ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ტაქსების უსაფრთხოებასა და გამართულობასთან დაკავშირებით მსჯელობა წლების განმავლობაში მიმდინარეობს, მაგრამ ჯერჯერობით ვითარება უცვლელია. ტაქსების კომპანიებში აცხადებენ, რომ უსაფრთხოების სტანდარტებს თავად აწესებენ და ირწმუნებიან, რომ მძღოლების მიმართ მკაცრი მოთხოვნები აქვთ, ესენია: გამოცდილება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, დახვეწილი ქცევის წესი, ჰიგიენის ნორმების დაცვა. მათი მტკიცებით, სათანადო ყურადღებას აქცევენ მანქანის ტექნიკურ გამართულობას, თუმცა არც ერთი ამ კრიტერიუმის დაკმაყოფილების შესახებ ცნობის წარდგენას მათ კანონი არ ავალდებულებს.

საქართველოში სპეციალისტები კერძო კომპანიების თვითრეგულაციაში გამოსავალს ვერ ხედავენ და მგზავრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო დონეზე დადგენილი, ერთიანი სტანდარტების ამოქმედებას მოითხოვენ.

„ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა შემოწმდეს წელიწადში ერთხელ მაინც. ასევე აუცილებელია ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი არ არის აღრიცხვაზე ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. უნდა იყოს ასაკობრივი შეზღუდვაც, ესენია ის საბაზისო მოთხოვნები, რაც ძალიან მალე უნდა დაწესდეს“, – აცხადებს „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ წარმომადგენელი **ეკა ლალიაშვილი.**

თბილისის მერიას აქვს ტაქსების რეგულირების რამდენიმე პროექტი, რომელსაც საზოგადოებას უახლოეს მომავალში გააცნობენ. საუბარია 4-ეტაპიან ცვლილებებზე, რომელიც დროთა განმავლობაში განხორციელდება.

ძირითადი პრობლემა არის ის, რომ არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი ტიპის მანქანები მოძრაობს, ვინ არიან მძღოლები და როგორია მათი მდგომარეობა. ძირითადი, რასაც ტაქსების რეგულირების დოკუმენტი დაეყრდნობა, უსაფრთხოების პრინციპები იქნება. კერძოდ, საუბარია ავტომობილის ტექნიკურ დათვალიერებასა და მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ცვლილებები მოიცავს ოთხ ეტაპს. ახალი რეგულაციები ეტაპობრივად განხორციელდება და სექტორში დასაქმებულებს მინიმალური დანახარჯებით მომზადების საშუალებას მისცემს. მაგალითად, ტაქსების ტექნიკური დათვალიერების ვალდებულება, წინასწარი ინფორმაციით, ქვეყანაში საყოველთაო ტექნიკური დათვალიერების შემოღების პროცესს დაემთხვევა.

თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურშიც რეგულირების პირველი ეტაპის ამოქმედებაზე საუბრობენ, რომელიც მალევე შევა ძალაში. მერიის ჩინოვნიკები პირობას იძლევიან, რომ იგი მაქსიმალურად უმტკივნეულო იქნება ტაქსის მძღოლებისთვის.

გეძა დანელია

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3.

293-13-34; 599 797679

სათრეველები

მოკანაფეები

მიხოს ნამხედრალთა ოდნავ წახედვა და
ველარ ავშორდებით გზას – საშიშს;
„გირჩი“ გაქირზეა, ძალზე ავი ზნე აქვს,
როცა კანაფს გვიქებს და ჰაშიშს!

მეუღლე და შენები?

„მოძრაობას შენების“
მეუღლე და შენები,
დავით უსუფაშვილო,
რით გსურს დაუკავშირო?

შეკვეთილი

ბილწი მაინც ვერ გახდება ზნე-კეთილი,
თუნდაც ასჯერ რომ უჩვენო შეკვეთილი!

ბუტე-ბუტე

ამბიციამ შეაწუხა მეტის მეტად
და სოროსელს გაეზარდა ძალზე მადა,
„ბუტე-ბუტე!“ – მიტომ ბრძანა პრეზიდენტმა,
მომავალშიც ტახტი უნდა საჯდომადა!

ბიბილოთის ბიბილო

თიბილოთი წავიდა და მოიყვანეს
ბიბილოთი,
დიდი ლოთი ბუნებით და ქურდი –
მამლის ბიბილოთი,
სურს, დაამხოს ჩვენი კერა და
ქვევრებში ცხვირი ჩაყოს,
იმიტომაც ლოკავს ჩექმას, სამაჩაბლო
უნდა ჯაყოს!

ალექსანდრე შენგელია

ნეტავ ვის ვგავარ?

ადამიანებს არ შესწევთ საკუთარი გარეგნობის ობიექტურად შეფასების უნარი, აცხადებენ ბრიტანელი ფსიქოლოგები.

გამოკვლევაში 130 მოხალისე მონაწილეობდა, რომელთაგან ექსპერიმენტატორებმა თითოეულს ათი საკუთარი ფოტოსურათის ამორჩევა და მათი საკუთარ ჭეშმარიტ გარეგნობასთან მსგავსების კლებისდა მიხედვით დალაგება სთხოვეს. ამის გარდა, ექსპერიმენტის მსვლელობისას, მეცნიერები მონაწილის შესახებ პატარა ვიდეორგოლს იღებდნენ.

ამის შემდეგ დალაგებული ფოტოსურათების და ვიდეორგოლის შეფასება სხვებს სთხოვეს. მათგან 73 კაცს, რომელიც მანამდე არცერთ მოხალისეს არ იცნობდა, უნდა დაედგინა, თუ რომელი ფოტოსურათი მაქსიმალურად ჰგავდა ექსპერიმენტის ამა თუ იმ მონაწილეს. აღმოჩნდა, რომ უცნობი ხალხი ფოტოებს „ორიგინალებისგან“ სრულიად სხვა თანმიმდევრობით ალაგებდა.

ცუდი დღე

ძალური მომხიბლაობა ოთხშაბათობით იკლებს, ირწმუნებიან ბრიტანელი მეცნიერები.

სპეციალისტების აზრით, ამის პიკია ოთხშაბათი დღის 15.30 საათი – ეს ის დროა, როცა ქალბატონები თავის ასაკზე უფროსებად გამოიყურებიან. საქმე ისაა, რომ ამ დროს სამუშაო სტრესი თავის მაქსიმუმს აღწევს და სწორედ ამიტომაა, რომ ქალები ჩვეულებრივზე ნაკლებად მიმზიდველი არიან.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დასკვნას ბრიტანელ ქალბატონთა 12 პროცენტი იზიარებს, რომლებსაც ოთხშაბათი სამუშაო კვირის ყველაზე „ცუდ დღედ“ მიაჩნიათ.

მიწათშემოქმედება

კუნძულების მშენებლები

ზღვის ფსკერიდან სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად მსხვილტონაჟიანი საზღვაო ნაგებობების ასაგებად უზარმაზარი ქარხნების ასაშენებლად, ბარენცის ზღვის კოლის უბეში რუსეთი ოთხი ხელოვნური კუნძულის აშენებას აპირებს.

მათი მშენებლობა 25 მილიარდი რუბლი დაჯდება და წლეულს დაიწყება. ამ საწარმოო ბაზის მშენებლობა სახელმწიფოს 10 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნის შესაძლებლობას მისცემს.

აღსანიშნავია, რომ ახალ „ხმელეთს“ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ქმნის, თუმცა კი სხვადასხვა მიზნებით. მაგალითად, ჩინეთმა სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში კუნძულ სპრათლის ფართი რამდენჯერმე გაზარდა იქ თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენი ზოლების, გემთმისადგომების, შუქურების, რადარებისა და სხვა სამხედრო ობიექტების აშენების ხარჯზე.

ადამიანის მიერ შექმნილ ხელოვნურ კუნძულებს შორის ყველაზე ორიგინალურია არაბეთის გაერთიანებული საემიროების დუბაის ემირატის ნაპირებთან აგებული პალმა ჯუმეირა. ეს ნაყარი კუნძული პალმის ხის ფორმისაა, მას ღერი და 16 ფოთოლი აქვს, იგი ხელოვნური პალმების არქიპელაგის ერთ-ერთი შემადგენელია. მის გარდა, იქ კიდევ ორი კუნძულია – პალმა ჯებელ ალი და პალმა დეირა, რომლებიც დუბაის სანაპირო ხაზს 520 კილომეტრით ზრდიან.

სპარსეთის ყურის მდიდარი ნავთობმომპოვებელი ქვეყნები საერთოდაც განთქმული არიან კუნძულების მშენებლობით. იმავე დუბაიში პალმა ჯუმეირაზე უდიდესი ფუფუნებით შვიდვარსკვლავიანი სასტუმრო „ბურჯ-ელ-არაბია“ აშენებული.

ყატარის დედაქალაქ დოჰას სანაპიროსთან ააგეს კუნძული პერლ-ყატარი, რომლის ფართობი 4000 კვადრატული კილომეტრია, ხოლო პატარა ბაჰრეინბა ერთბაშად სამი არქიპელაგი – ჩრდილოეთის ქალაქი, დიარ-ელ-მუჰარაკი და დურათ-ელ-ბაჰრეინი ააგო.

ხმელეთის კიდევ ერთი აქტიური მშენებელია იაპონია, რომლის ყველაზე ცნობილ ახლო კუნძულზე საერთაშორისო აეროპორტი კანსაია განთავსებული, რომლის ტერიტორია 4000 კვადრატული კილომეტრია. ოსაკის ყურეში ამ კუნძულს 1987-1994 წლებში აშენებდნენ. ამ კუნძულმაც და აეროპორტმაც 1995 წლის უძლიერესი მიწისძვრის დარტყმებსა და 1998 წლის არანაკლებ მძვინვარე ტაიფუნის შემოტევას ღირსეულად გაუძლეს.



ნინო ალექსანდრია

საყვარელი მამაკაცების გამო მადონა ლისაბონში გადმობარგდა?

პოპ-მუსიკის ვარსკვლავმა სულ ახლახან პორტუგალიის დედაქალაქში სახლი შეიძინა. მან 6 მილიონი ევრო ყოველგვარი შევაჭრების გარეშე გადაიხადა.



რეზიდენციას საუკეთესო ხედი აქვს და ცოტათი უცნაურია, მაგრამ მთავარი მიზეზი ახლოს მდებარე გუნდ „ბენფიკას“ მოზარდთა საწვრთნელი ბაზაა, სადაც მომღერლის 12 წლის ნაშვილებ ბიჭს, დევიდს სურს თამაში. ლისაბონში გადმოსახლების ერთ-ერთი მიზეზი ეს არის.

ამის გარდა, მადონას ახლანდელი მეგობარი მამაკაცი, 31 წლის მოდელი ბიჭიც ლისაბონში ცხოვრობს.

რუსუდან ქობულია

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4074; ევრო - 2.7341;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0872;
100 რუბლი - 4.0398; თურქული ლირა - 0.6811;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4161;
1000 სომხური დრამი - 5.0112.

ამინდი 30 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17 დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +14, დღე +30
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +32
მთიანი რაიონები - ღამე +15 დღე +30
თბილისი: ღამე +21, დღე +32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge